

ეროვნული საბჭო

სტენოგრაფიული ანგარიში

41 სსდმგა

საშაბათი, სექტემბრის 24, 1918 წ. ტფილისი. სახახლე.

თავმჯდომარეობს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლაი მსვიტი მდივნობს ეროვნულ საბჭოს მდივანი დავით მანაშადაძე.

პრეზიდიუმში არიან: ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი: იესე მარათაშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი და საბჭოს მდივნის ამხანაგი იოსებ აბაყელია.

კრება იხსნება ნაშუადღევის პირველ საათზე და 10 წუთზე.

თავმჯდომარე კრება გახსნილი გახლავთ. უთხოვ მდივანს წიკითხოს განცხადება.

კომისიების წევრთა შემადგენლობის ცვლილება.

მდივანი კითხულობს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის განცხადებას:

ვაუწყებ ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმს, რომ სამხედრო კომისიის წევრად კონსტანტინე საბასტრაშვილისა და დავით მარათაშვილის მაგიერ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ასახელებს ვაქტვან ნანიძეს და სარდიან თევზაძეს.

საბჭო ამტკიცებს ხსენებულ პირთ სამხედრო კომისიის წევრებად.

საბჭოს წევრთა შემადგენლობის ცვლილება.

მდივანი: (კითხულობს სოც.-დემ. ფრაქციის განცხადებას) ვაუწყებთ ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმს, რომ საბჭოს წევრის იოსებ მარათაშვილის წევრობიდან გადადგომისა და საბჭოს წევრის არსენ შამულაიშვილის გარდაცვალების გამო საბჭოს წევრებად ჩაირიცხებინა კანდიდატები: გოგოლაძე კაპიტონ და ფირცხალაიშვილი ილია.

საბჭო აღასტურებს ამ განცხადებას:

ცნობა კომისიებში გადახავემ კანონ-პროექტების შესახებ.

მდივანი. (კითხულობს) სხა კომისიებში გადახავემ კანონპროექტებისა.

1. ხელოვნების კომისიის წინადადება მოქანდაკე იაკოვ ნიკოლაძისათვის გასაშრაგელოდ 3000 მან. შიკემის შესახებ საქართველოს დროშის პროექტის შედგენისათვის გადაეყვას საფინანსო კომისიას.



2. ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი გადასახადების აკრედიტის გადაეცეს საფინანსო კომისიას.
3. ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი 49.600 მ. გადადების შესახებ ტყიბულის ქვანახშირიან რაიონის შესწავლისათვის გადაეცეს საფინანსო კომისიას.
4. სასაღესო კანონმდებლობის კანონ-პროექტი სახალხო ჯანმრთელობის, სასანიტარო ინსტიტუტის, სამკურნალო სასანიტარო საბჭოს, საფარმაცევტო საბჭოს დაარსების შესახებ გადაეცეს საფინანსო კომისიას.
5. დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებული დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისა გადაეცეს იურიდიულ და საფინანსო კომისიას.

დღიური წესრიგი.

შეიქმნას (კითხულობს შემდეგ დღიურ წესრიგს):

1. საბოლოო ტექსტი მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის კანონისა.
2. საბოლოო ტექსტი წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლის სახელმწიფო სკოლად გამოცხადების კანონისა.
3. საბოლოო ტექსტი ადერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებთან ერთად 280 მილიონი მანეთის ბონის გამოცემის დებულებისა.
4. კანონ-პროექტი სახელმწიფო კონტროლიორის ჯამაგირის შესახებ.
5. კანონ-პროექტი ჯარისკაცთა საჭიროებისათვის წმინდა სპირტის, თუთუნის, პაპროსის და წუმწუმის უაქციზოდ მიცემის აღკრძალვისა.
6. საბჭოს წევრის ალ. ახმეტელის შეკითხვა პურისა და სანოვავის სიმჭირის ნიადაგზე წარმოებულ აგიტაციის შესახებ საქართველოს დამოუკიდებლობისა და რესპუბლიკის წინააღმდეგ.
7. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის მთავრობისადმი შეკითხვა ოსმალელ ასკერების მიერ დატყვევებულ ინგლისელთა ტფილისში ჩამოყვანის შესახებ.

სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვის ტექსტი.

შეიქმნას. (კითხულობს ს.-დ. ფრაქ. შემდეგ შეკითხვის ტექსტს).

სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას მოუვიდა ცნობა, რომ თბილისში ჩამოსულან ოსმალეთის ასკერები და ჩამოუყვანიანთ რამოდენიმე დატყვევებული ინგლისელი, რომლებსაც აქ დარაჯობენ. რადგან ასეთი ფაქტები ძირიანად ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის ნეიტრალიტეტს და ყველა დადებულ ხელშეკრულებას ოსმალეთთან, ფრაქცია ეკითხება მთავრობას, იცის თუ არა მან ეს ფაქტი და თუ იცის, რა ზომას ხმარობს საქართველოს რესპუბლიკის ნეიტრალიტეტის და მის სახელმწიფოებრივი უფლებების შებღალვის წინააღმდეგ.

საბჭო ამტკიცებს დღიურ წესრიგს.

საბოლოო ტექსტი მომრიგებელ მოსამართლის ინსტიტუტის კანონისა.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს არსენიმეს.



რ. აბსენაძე. (ს.-დ.) კანონი მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ.

შესწორებები უმეტეს ნაწილად წმინდა რედაქციული ხასიათისა გახლავთ.

ამიტომ ნება მიბოძეთ, მუხლები პირდაპირ წაეიკითხო და, სადაც მცირედი შესწორებაა, მარტო ერთი ტექსტი წაეიკითხო შესწორებებით.

კანონი

მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ. (კითხულობს):

1. შემოღებულ იქნეს 1912 წ. ივნისის 15-ის კანონი ადგილობრივ სასამართლოს გადაქმნისა შემდეგის დამატებით და ცვლილებით.

მიღებულია უცვლელად.

მუხლი 1.

თავი 1. საზოგადო წესი. (12 მუხ. მაგ.) მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობა დაწესებულ იქნეს, როგორც ქალაქებში ისე მაზრებში (ოლქში); ყოველა მაზრა (ოლქი), მასში ჩარიცხულ ქალაქებთან ერთად, შეადგენს სამომრიგებლო ოლქს.

შენიშვნა 1: საჭიროების მიხედვით შეიძლება რამდენიმე მოსაზღვრე მაზრა შეერთებულ იქნეს ერთ სამომრიგებლო ოლქად.

შენიშვნა 2: ქ. ტფილისის შეადგენს ცალკე სამომრიგებლო ოლქს. უცვლელად არის დატოვებული.

შეორე მუხლი.

(14 მუხ. მაგ.) სამომრიგებლო ოლქი განიყოფება სამომრიგებლო უბნებად, რომელთა რიცხვი საკანონმდებლო გზით დამტკიცებულ ნუსხით განისაზღვრება.

უცვლელად არის დატოვებული.

მესამე მუხლი.

(14¹ მუხ. მაგ.) სამომრიგებლო უბნის საზღვრების საბოლოოდ გავლება (შემუშავება) თვითვე სამომრიგებლო ოლქში ეკუთვნის სათანადო მაზრის (ოლქის) საერაობო კრებას, ერობის შემოღებამდე, საზღვრებს აწესებს სათანადო მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა.

უცვლელად არის დატოვებული.

შენიშვნა მე 3-ე მუხლისა არის შესწორებული ასეთნაირად: (კითხულობს).

შენიშვნა: ქალ. ტფილისში და აგრეთვე იმ ქალაქებში, რომელთაც ნუსხით მიკუთვნებული აქვთ განსაზღვრული რიცხვი მომრიგებელ მოსამართლეებისა, სამომრიგებლო უბანთა საზღვრებს აწესებს ქალაქის საბჭო.

მეოთხე მუხლი სარედაქციო კომისიის მიერ ასეა მიღებული.

4. (14² მ. მაგ.) სამომრიგებლო უბანთა საზღვრების გავლების დროს უნდა დაცულ იქნეს პირობა, რომ სოფლის საზოგადოება მთლიანად ამა თუ იმ სამომრიგებლო უბანში შევიდეს.

მე 5-ე და მე 6-ე მუხლი უცვლელადაა მიღებული.

5. (15 მუხ. მაგ.) სამომრიგებლო უბანს განაგებს უბნის მომრიგებელი მოსამართლე.

6. (16 მუხ. მაგ.) სამომრიგებლო ოლქში, გარდა უბნის მომრიგებელ მოსამართლისა, შემოღებულ იქნეს თანამდებობა საპატიო მომრიგებელ მოსამართლისა.



მე 7-ე მუხლში შესწორებულია უკანასკნელი წინადადება შემდეგნაირად:
ასეა მიღებული:

7. (17 მუხ. მაგ.) უმაღლეს სამომრიგებლო ინსტანციას წარმოადგენს მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა, რომელიც შესდგება თავმჯდომარის და სამომრიგებლო ოლქის საუბნო და საპატიო მომრიგებელ მოსამართლეთაგან; მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა არსებობს ყოველ სამომრიგებლო ოლქში.

მე 8-ე მუხლი ჩვენ გადავაკეთეთ ასე:

8. მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარეს სამის წლის ვადით ამირჩევენ თავიანთ წრეში სამომრიგებლო ოლქის საუბნო და საპატიო მომრიგებელი მოსამართლენი. ყრილობის თავმჯდომარე თავისუფალია სამომრიგებლო უბნის გაშეგობისაგან და, თუ რომელიმე უბანი ჰქონდა ჩაბარებული, მის ადგილას საერთო წესით უნდა არჩეულ იქნეს ახალი მოსამართლე.

სხვა მოხსენება არ არის.

თავი II. მე-9-ე მუხლი უცვლელიად არის მიღებული.

მე-10-ე მუხლი აქვ: მომრიგებელ მოსამართლეთ ირჩევს.

შევასწორეთ: საუბნო და საპატიო მომრიგებელ მოსამართლეთა ირჩევს:

შემდეგ ასე იყო საბჭოს მიერ მიღებული:

ა) ქალაქებში, რომელთაც საკუთარი მოსამართლენი ყავთ ქალაქის საბჭო, დანარჩენ ადგილებში მაზრო საეროზო კრება.

ბ) თუ ორი ან რამდენიმე მაზრა შეერთებულია ერთ სამომრიგებლო მაზრად, თვითველ მაზრისთვის მომრიგებელ მოსამართლეთა დაწესებულ რიცხვს ირჩევს საეროზო კრება ამ მაზრისა.

ჩვენ შევასწორეთ ასე:

საუბნო და საპატიო მომრიგებელ მოსამართლეთა ირჩევს:

ა) თბილისში — ქალაქის საბჭო.

ბ) დანარჩენ სამომრიგებლო ოლქებში მაზრის (ოლქის) საეროზო კრება.

გ) სადაც ორი ან რამდენიმე მაზრაა შეერთებული ერთ სამომრიგებლო ოლქად, თვითველ მაზრისათვის დაწესებულ მოსამართლეთა რაოდენობას ირჩევს საზოგადო კრება ამ მაზრისა.

შემდეგი მუხლი ჩვენ ასე შევასწორეთ:

იმ ქალაქებისათვის, რომელიც ცალკე ოლქს არ შეადგენს, მაგრამ კანონით დამტკიცებულ ნუსხაში შიკუთვნებული აქვს განსაზღვრული რიცხვი მომრიგებელ მოსამართლეებისა, უკანასკნელთა ირჩევს ქალაქის საბჭო.

შემდეგ მუხლში არის რამდენიმე შესწორება ამიტომ მე წავიკითხავ ორივე ტექსტს: წინანდელს და ახლანდელს.

წინად იყო: ერობის შემოღებამდე მომრიგებელ და საპატიო მოსამართლეს და სამომრიგებლო ყრილობის თავმჯდომარეს ნიშნავს იუსტიციის მინისტრი. ერობის განხორციელების შემდეგ ამ პირებს უფლება გაუქმებულათ ჩაითვლება იმ დროიდან, როცა არჩეული მოსამართლენი შეუდგებიან თანამდებობის აღსრულებას.

ჩვენ მივიღეთ:

ერობის შემოღებამდე მომრიგებელ მოსამართლეს დანიშნავს იუსტიციის მინისტრი. ერობის შემოღების შემდეგ ამ პირთა უფლება გაუ-



მე-13 მუხლში მცირედი შესწორება შეტანილი:

13. (26-32 მ. მაგ.) ცალკე სია იმ პირთა, ვისაც არჩეულ იყოს მომრიგებელ მოსამართლეთ, შედგენილი არჩევა შეიძლება ყოველი პირის, ვინც კანონში აღნუსხულ პირობას (მუხლი 11 და 12) აკმაყოფილებს.

მე-14 მუხლი უცვლელად არის მიღებული.

მე-15 მუხლში სარედაქციო შესწორებაა: თანავეს შექტი ვად: შეეცვალეთ: თან თვეზე მეტის ვადით. სხვა შესწორება არ არის. მუხლი ასეა მიღებული:

15. (73 მ. მაგ.) მომრიგებელი მოსამართლის სრულიად დათხოვნა თანამდებობისაგან თანახმით მისი თხოვნისა ან დროებით სამსახური-საგან განთავისუფლება თან თვეზე მეტის ვადით, ექვემდებარება რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს, ხოლო მისი დაარსებამდე იუსტიციის მინისტრს. სამსახურიდან განთავისუფლება ორი თვით ან ნაკლების ვადით დამოკიდებულია მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობაზე მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარის დროებით სამსახურისაგან განთავისუფლება დამოკიდებულია იუსტიციის მინისტრზე.

მე-16 მუხლი საბჭოს მიერ ასე იყო მიღებული:

(კითხულობს) როგორც საუბრო მომრიგებელ მოსამართლესთან ისე მომრიგებელ ოლქში საქმე სწარმოებს ქართულ ენაზე.

ჩვენ შევასწორეთ:

16. როგორც საუბრო მომრიგებელ მოსამართლესთან, ისე მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობაზე, საქმე სწარმოებს ქართულად.

მე-17 მუხლში შეტანილი იყო ის შესწორება, რომელიც მიიღო ეროვნულმა საბჭომ წარსულ სხდომაზე: მუხლი ამ სახითაა მიღებული:

17. იმ უბანში, სადაც უმრავლესობა რესპუბლიკის მოქალაქეთა, რომელიმე არა-ქართველ ერს ეკუთვნის, საქმის წარმოება, როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი უნდა ხდებოდეს ქართულსა და უბნის უმრავლესობის ენაზე. ოფიციალურ ტექსტად ჩაითვლება ქართული ტექსტი.

აგრეთვე შესწორდა მე-18 მუხლი თანხმად მიღებულ შესწორებისა:

18. იმ ოლქში, ან უბანში, სადაც არა-ქართველი ერის ნაწილი რესპუბლიკის მოქალაქეთა მნიშვნელოვან უმცირესობას ((20%)-ზე არა ნაკლებს) შეადგენს—ყოველ გვარი ქალაქის შეტანა მომრიგებელ სასამართლოში და სიტყვიერი განმარტების მიცემა შეიძლება უმცირესობის ენაზე; ამგვ ენაზე უფლება აქვთ განსაკუთრებული სასყიდლის გაუღებლად, მიიღონ ყოველგვარი სამართლის წესით განსაზღვრული ქალაქების პირი. თუ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული, ხოლო სამოქალაქო საქმეში კი ორივე მხარე მოითხოვს საქმის გარჩევას არა ქართულ ენაზე და მომრიგებელმა მოსამართლემ, ან მოსამართლეთა ყრილობამ იცის ეს ენა, საქმის სიტყვიერი წარმოება უნდა მოხდეს ამ ენაზე.

მე-19 მუხლში ჩვენ შევიტანეთ შემდეგი ცვლილება იყო: შიშა-დაურ ენაზე.

ჩვენ შევასწორეთ: დედა-ქანაზე

მე-20 მუხლი უცვლელად არის მიღებული. ამოვშალეთ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკაში, რადგან ზედმეტად მიგვანჩია.

განყოფილება მე-2-ე, მუხლი პირველი საბჭოს მიერ ასე იყო მიღებული:



საქართველოს რესპუბლიკაში გაუქმებულია არსებული დღეობა მომრიგებელ მოსამართლისა, იმის თანაშემწისა და საპროკურორისა მოსამართლისა. ყველა ეს პირნი და აგრეთვე მათი კანცელარიის მონაშახურენი, თუ ახალი თანამდებობა არ მიიღეს დაკმაყოფილებულ იქნებიან საერთო წესით.

ჩვენ მივიღეთ ამგვარად:

საქართველოს რესპუბლიკაში გაუქმებულია დღემდე არსებული თანამდებობა მომრიგებელ მოსამართლისა, იმის თანაშემწისა და საპროკურორისა მოსამართლისა. ყველა ეს პირნი და აგრეთვე მათი კანცელარიის მონაშახურენი, დაკმაყოფილებულ იქნებიან საერთო წესით უკეთეს ახალს თანამდებობაზე არ იქნებიან განწესებული.

დანარჩენი ტექსტი მიღებულია უცვლელად.

2. ზევით აღნიშნულ პირთ სამსახურიდან გადადგომა შეუძლიათ მხოლოდ მაშინ, როდესაც ახალი მოსამართლენი მოვალეობის აღსრულებას შეუდგებიან.

III. 1. გაუქმდეს სოფლის სასამართლოები, ხოლო მათი ქვემდებარე დაუშთავრებელი საქმეები გადაეცეს სათანადო საუბნო მომრიგებელ მოსამართლეს.

IV. 1. მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შემოსაღებად თანახმად ამ კანონთან დართული შტატისა და ხარჯთ აღრიცხვისა, გადაიდვას სახელმწიფო ხაზინიდან იუსტიციის სამინისტროს განკარგულებაში 1974,800 მან., ხოლო აწინდელი კრედიტი მომრიგებელ მოსამართლეთა, მათ თანაშემწეთა და კანცელარიისა დახურულ იქნეს.

V. 1. ეს კანონი ძალაში შედის მთავრობის ოფიციალურ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნების მეორე დღიდან.

შემდეგ გახლავთ ნუსხა სამომრიგებლო ინსტიტუტის დაწესებულებისა რომელიც უცვლელად არის მიღებული, შტატები მიღებულია უცვლელად.

თაქმჯდომარე. შემდეგი მომხსენებელი ბ. ამირეჯიბი.

შალვა ამირეჯიბა, (ერ. დემ.) დებულება აღერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკასთან ერთად 280 მილ. მან. ბონების გამოცემის შესახებ.

მუხლი პირველი. ხელშეკრულება, დადებული საქართველოს აღერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკათა შორის. 1918 წ. ენკენისთვის ნ-ს, 280 მილ. მანეთის ბონების საერთო პასუხისმგებლობით გამოცემისა და უკვე გამოცემულ სამას მილიონის მანეთის ბონების პასუხისმგებლობის შესახებ დამტკიცებულ იქნეს.

აქ ჩვენ შემდეგი ცვლილება მოვახდინეთ: ძველ ტექსტში არის ციფრებით, ჩვენ სიტყვებით დავწერეთ. სარედაქციო კომისიამ ასე მიიღო ეს მუხლი:

დებულება აღერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებთან ერთად ორას ოთხმოცი მილიონი მანეთის ბონების გამოცემისა.

1. ხელშეკრულება, დადებული საქართველოს, აღერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკათა შორის 1918 წ. ენკენისთვის ნ-ს ორას ოთხმოცი მილიონი მანეთის ბონების საერთო პასუხისმგებლობით გამოცემისა და უკვე გამოცემული სამას მილიონი მანეთის ბონების პასუხისმგებლობისა დამტკიცებულ იქნეს.



მუხლი მეორე.

2. ეს ხელშეკრულება ძალიან შესულად იქნეს ცნობილი იმ დღიდან, როცა საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკათა შორის იქნება გაცვლილი სთანადო რატიფიკაციები. აი ამ სახით მიიღო კომისიამ ეს კანონ-პროექტი ფინანსთა მინისტრისა.

აქ არსებითი ცვლილება არ გახლავთ, მხოლოდ სიტყვა გახლავთ გადასმულ.

კანონი წინამძღვრიანათ კარის სამეურნო სკოლის სახელმწიფო სკოლად გამოცხადების შესახებ... ბატონო თავმჯდომარე შეიძლება წავიკითხო?

თავმჯდომარე. დიას! წაიკითხეთ!

შ. ამარჯუბა. კანონი წინამძღვრიანათ კარის სამეურნო სკოლის სახელმწიფო სკოლად გამოცხადების შესახებ.

საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში გახლავთ სიტყვა შესახებ, როგორც ყველა კანონ-პროექტებში, რომელიც წარმოდგენილი იყო აქამდის საბჭოს წინაშე.

ჩვენ გავასწორეთ: კანონი წინამძღვრიანათ კარის სამეურნო სკოლის სახელმწიფო სკოლად გამოცხადებისა.

მუხლებში არსებითი ცვლილება არ შეგვიტანია.

აქვე ხარჯთაღრიცხვაში გახლავთ სიტყვა სასწავლებელი.

ჩვენ შევცვალეთ ეს სიტყვით სკოლა.

კანონ-პროექტი სახელმწიფო კონტროლიორის ჯამაგირისა.

თავმჯდომარე. შემდეგი კანონ-პროექტია სახელმწიფო კონტროლიორის ჯამაგირის შესახებ; სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს, მომხსენებელს ონიანს.

დ. თანაშადა (ს დ.). ეს კანონ-პროექტი, რომელიც ეხლა საბჭომ უნდა განიხილოს და შემდეგ დაამტკიცოს სულ მცირეა. შესდგება სულ ორ მუხლისაგან, ასეთი არის სათაური: კანონ-პროექტი სახელმწიფო კონტროლიორის ჯამაგირის შესახებ.


საქმე იმაშია, რომ საბჭოს წევრო, რომ ჩვენ ივნისის სამს. ვიცდით ის დადგენილება, რომ საქართველოში უნდა დაარსდეს ახალი თანამდებობა სახელმწიფო კონტროლიორისა.

სხვათა შორის, საბჭოში გამოითქვა ის აზრი, რომ სახელმწიფო კონტროლიორი დამოუკიდებელია და პარლამენტის მიერ არჩეული, არ უნდა შედიოდეს მინისტრის კაბინეტში, და უნდა იყვეს პასუხის მგებელი მხოლოდ პარლამენტის წინაშე.

აი ამით აიხსნება ის გარემოება, როცა დავადგინეთ შიგველო სხვა და სხვა უწყების შტატები, და შტატების ჯამაგირები სახელმწიფო კონტროლიორის საკითხი დღეის დღებომდე არ განხილულა.

ამიტომ, შემოგვაცქეს წინადადება, რომ დაენიშნოს სახელმწიფოს კონტროლიორს წლიურად 18000 მანეთი, ეს დადგენილება უნდა მიიღოს საბჭომ. კანონ-პროექტი შესდგება ოთხ მუხლისაგან. თუ საქირო იქნება მე წავიკითხავ.

თავმჯდომარე. ვის ნებაეს სიტყვა კანონ-პროექტის შესახებ, არავის. გახლავთ გადახვიდეთ მუხლობრივ განხილვაზე, ვთხოვთ წაიკითხოთ.



შომსხვეპელა. პირველი მუხლი. სახელმწიფოს კონსტრუქციის განხორციელების მიზნით დადგინდა დღიური ღირებულება მისი არჩევნისა, ეროვნულ საბჭოს მიერ, თანახმად მთავრობის წევრთა შტატისა, წელიწადში 18000 მან.

თავმჯდომარე. ვის ნებაგს სიტყვა? არაგის. მიღებულია.

შომსხვეპელა. მეორე მუხლი: ამ კანონით, გამოწვეული საჭირო ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხა მიღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან.

თავმჯდომარე. ვის ნებაგს სიტყვა? არაგის. მიღებულია; უყრი კენჭს მთელ კანონ-პროექტს. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

კანონპროექტი ჯარის-კაცთა საჭიროებისათვის წმინდა სპირტისა, თამბაქოსის, პაპიროსის და წუმწუმის უაქციზოდ მიცემის გაუქმებისა.

თავმჯდომარე. შემდეგი კანონპროექტი. შომსხვეპელია საბჭოს წევრი ონია შვილი.

დ. ონია შვილი. ამ კანონპროექტს შემდეგი სათაური აქვს: კანონპროექტი ჯარისკაცთა საჭიროებისათვის წმინდა სპირტის, თუთუნის, პაპიროსისა და წუმწუმის უაქციზოდ მიცემის გაუქმების შესახებ. საქმე შემდეგში არის: როდესაც საერთო შორი ომში დიწყო 1914 წ. მარიაპოლისთვის 1 და 7 ლვინობისთვის და 1915 წ. 14 თებერვლისა და 29 გიორგობისთვის დამოიცა დროებითი ბრძანება და განკარგულება რუსეთის მთავრობის. ეს განკარგულება შეეხება იმას რომ უაქციზოდ ეძლევა საშხედრო საზინისტროს წმინდა სპირტი, თუთუნი, პაპიროსი და წუმწუმა ჯარის-კაცის საჭიროებისათვის.

ეს იყო ერთგვარი შედავათი საშხედრო უწყებისა ვინაიდან მაშინ, როგორც მოგეხსენება, უწყებას დიდი-ძალი ხარჯი დაწვა, და სახელმწიფო, როგორც ასეთი, აი ამ დახმარებას უწყედა საშხედრო უწყებას და შექმნა ისეთი კანონი, რომლის შრიველგება ეკუთვნის მხოლოდ საშხედრო უწყებას, ჯარის-კაცებს ეძლეოდათ ეს როგორც პურა რაციონი.

დღეს, როდესაც ფრანტი დამშალა და გამოცხადდა დემობილიზაცია, — საშხედრო უწყება აღარ იმყოფეფებდა ასეთ განსაკუთრ მდგომარეობაში, ამიტომ ჩემის და კომისიის აზრით ეს პრივილეგიები დღევანდელ პირობებში სულ ზედმეტი არის. ამიტომ საფინანსო კომისიამ შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომლის სათაური წაგვიკითხეთ. და ეს კანონ-პროექტი სპირტს, მაშასადამე, იმ დებულებას და განკარგულებას, რომელსაც შექმნათ მხოლოდ დროებითი ხასიათი. ასეთ საგანგებო პირობებში ასეთი არის საზოგადო მოსახრება აი ამ კანონ-პროექტის.

1. ისაობა უაქციზოდ მიცემა წმინდა სპირტის, თუთუნის, პაპიროსის, წუმწუმის და პაპიროსის ქაღალდისა ჯარისკაცთა საჭიროებისათვის, და მათ უქმდება სსქარტიფილოს რესპუბლიკის საზღვრებში რუსეთის მთავრობის მიერ 1914 წლის 1 მარიაპოლისთვის და 7 ლვინობისთვის და 1915 წლის 14 თებერვლისა და 29 გიორგობისთვის გამოცემული ბრძანებანი და დადგენალებანი.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა ეროვნულ საბჭოს მიერ.

თავმჯდომარე. ვის ნებაგს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი, რომ ეს კანონპროექტი მიღებული იქნეს?



ნონ-პროექტი მუხლობრივ განხილული იყოს? გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

მაშხენებელი დ. ანააშეადა (კითხულობს). ისპობა უაქციზოდ მიცემა წმინდა სპირტის, თუთუნის, პაპიროსის, წუმწუმის და პაპიროსის ქაღალდისა ჯარისკაცთ საჭიროებისათვის, და მით უქმედება საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში რუსეთის მთავრობის მიერ 1914 წ. 1 მარტიდან და 7 დეკემბრისთვის და 1915 წ. თებერვლისა და 29 გოორგობისთვის გამოცემული ბრძანებანი და დადგენილებანი.

თავმჯდომარე ვის პსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია. შემდეგი მუხლი.

მაშხენებელი დ. ანააშეადა (კითხულობს). მუხლი მე 2-ე. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა ეროვნულ საბჭოს მიერ.

თავმჯდ. კენჭის უყრი მთლად კანონ-პროექტს. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია და გადაეცემა სარედაქციო კომისიას.

სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვა ოსმალელ ასკერების მიერ დატყვევებულ ინგლისელთა ტფალისში ჩამოყვანის განთ.

თავმჯდომარე. ეხლა გადავდივართ შეკითხვაზე.

პირველი შეკითხვა, როგორც ვახსოვთ არის ბ. ახმეტელისა. მეორე შეკითხვა შემოიტანა ს. დ. ფრაქციამ. ს. დ. ფრაქციის წარმომადგენელი სთხოვს საბჭოს, რომ ის შეკითხვა, რომელიც მან შემოიტანა, განხილული იყოს პირველ რიგში. ასეთი ვახლავს წინადადება სოც. დემ. ფრაქციისა, რადგანაც ძალიან სასწრაფოდ მიაჩნიათ.

რეგლამენტის ძალით დღიურის წესრიგის შეცვლა შეუძლიან მთლად საბჭოს.

ვის ეხება სიტყვა, რომ პირველ რიგში ვახლდეს განხილული ეს შეკითხვა, რომელიც დღეს არის?

სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ირაკლი წერეთელს.

თავმჯდ. წერეთელი. ბატონებო, მე მგონია რომ დავას არ გამოიწვევს ისეთი შეკითხვა, რომელიც ეხება ჩვეუ სახელმწიფოს არსებობას, მის საერთაშორისო მდგომარეობას და უპირველეს ყოვლისა იქნება გარჩეული.

ეს კითხვა მნიშვნელოვანი და სასწრაფოა რადგანაც, სახელმწიფოებრივი დაწესებულება, როგორც კი ცნობას მიიღებს სახელმწიფოს უფლებების შეზღუდვისას, მაშინვე უნდა გამოსთქვას თავისი აზრი და მოისმინოს მთავრობის განმარტება.

ამიტომ მე, სოციალ დემოკრატიული ფრაქციის ახელით, ვითხოვ რომ ეს შეკითხვა პირველ რიგში იყო გარჩეული.

სამსონ დადიანი (ს. ფ.) ეს საკითხი კოტაოდენად გამოურკვეველია. საქმე იმაში ვახლავთ, რომ ჩვენი რეგლამენტის ძალით, მთავრობას შეუძლიან შეკითხვაზე შეიძლება პასუხი გასცეს ერთი კვირის განმავლობაში. თუ იგი მოითხოვს და იტყვის, რომ მზად არ ვართ პასუხი გაგცეთ, ერთი კვირა უნდა აღმოვოთ.

ჩვენ არ ვიცით, მთავრობამ იცის, თუ არ იცის შინაარსი ამ შეკითხვისა და არის თუ არა მზად პასუხის გასაცემა.

თუ მთავრობა მზად არის, რომ დღეს გასცეს პასუხი, ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, რომ დღესვე იყოს მოსმენილი შეკითხვაც და პასუხიც.



თავმჯდომარე ამის ვაგუებისთვის ჩვენ გვაქვს ორი გზა. ამის მასშტაბს მხოლოდ მაშინ ვაგიგებთ, როცა ამ ორ გზას მოვმართავთ: ან უკრძომო ვკითხავთ მთავრობას: იცის, თუ არა შინაარსი ამ საკითხისა, ან და შეკითხვის განხილვის დროს.

უკრძომო შეკითხვა ჩვენ გზას არ მოგვცემს. ჩვენ უნდა შევეკითხოთ მთავრობას შეკითხვის საბიჯ და მხოლოდ მაშინ ვაგიგებთ იცის მთავრობამ ეს თუ არა, მზად არის პასუხი გავცუტეს თუ არა.

ესლა ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ: თქვენ ვნებავთ პირველ რიგში იყოს განხილველი ეს შეკითხვა თუ არა? ვინ არის ამის წინააღმდეგი? არაფინ. მაშასადამე გადავდივარ ამ შეკითხვის განხილვაზე. ამ შეკითხვას პირველი აწერს ხელს ირავლა წერეთელა.

სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ირავლა წერეთელს. ირავლა წერეთელა. (ს.-დ.) ბატონებო! სოც. დემ. ფრაქციას მოუვიდი ცნობა, რომ აქ, ჩვენს დედა-ქალაქში ჩამოსულან ოსმალეთის ასკრები, რომელთაც ჩამოუყვანათ დატყვევებული ინგლისელები და აქ როგორც ტყვეებს ინახავენ.

მე ვფიქრობ, რომ ყველასათვის, ვინც კი საერთაშორისო უფლებასთან გაცნობილია, ეს ფაქტი აღმაშფოთებელი უნდა იყოს.

ნეიტრალური სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზე, უცხო სახელმწიფოს დატყვევებულებს ინახავენ როგორც თავის საკუთარ ტერიტორიაზე. ასეთი ნეიტრალური სახელმწიფო არ არსებობს. მისი ნეიტრალობა გაქარწყლებულია, და თუ შან ხმა არ ამოიღო და ზომები არ მიიღო ასეთ საქციელის წინააღმდეგ. მაშინ მისი ნეიტრალიტეტი და დამოუკიდებლობა უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.

არხად, არც ერთს ქვეყანაში, ამ დიდ ომის განმავლობაში, ისეთი ფაქტი არ მომხდარა, და საერთოდ მეომა ი სახელმწიფოები უღად ვოლ სთელიან იმას, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოსგან მხოლოდ ერთი რამ უნდა მოითხოვონ: თუ შევიდა შიგ შინაარსებული ძალა, ამ შეიარაღებულ ძალას იარაღი უნდა აყაროს. ეს არის მოვალეობა ნეიტრალური სახელმწიფოსი. ჩვენ ტერიტორიაზე რომ ინგლისელები გამოჩნდნენ, რასაკვირველია, ჩვენმა სახელმწიფომ ზომები უნდა მიიღოს, რომ აქ ინგლისელებს იარაღი აყაროთ და არავითარი სხვა ძალა არ უნდა ჩაერიოს ამ საქმეში.

ოსმალეთთან ჩვენ გვაქვს ხელშეკრულება, რომლის ძალით ოსმალეთს ჯარი გადაჰყავს საქართველოზე. საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით ჩვენი რკინის გზით საშუალებით. ეს ხელშეკრულებაში ნათლადა ნათქვამი. ჩვენი სახელმწიფო, რომელმაც ხელი მოაწერა, ამ ხელშეკრულებას პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ ის უფლება ოსმალეთის მთავრობას, რომ ჩვენ ტერიტორიაზე, თავისუფლად თავისი ჯარი, თავისი ასკრები შესიოყვანოს და მით უმეტეს ამ ჯარის საშუალებით აქ შემოიყვანონ და აქ საჯონ ინგლისელები და ან სხვა სახელმწიფოს ჯარისკაცები — ეს არავითარ ხ ხელშეკრულებით, რასაკვირველია, ცნობილი არ არის და რომ ეს ასე იყოს მაშინ ვაუქმებული იქნებოდა ჩვენი დამოუკიდებლობა.

მე მგონია, რომ ეს აღმაშფოთებელი ფაქტი გამოიწვევს ყველგან, სადაც კი ცნობილია საერთა შორისო უფლება, თანაგრძნობას იმ ზომებისადმი, რომელიც ჩვენმა მთავრობამ უნდა მიიღოს ამის წინააღმდეგ. დაუკონებლივ უნდა მთავრობამ გაიგოს ნამდვილი არის ეს ფაქტი



თუ არა, და, თუ ნამდვილია, ისეთი ზომები უნდა მიიღოს, რომელიც, არამც თუ ამ შემთხვევაში მოსაზრებს ყოველდღიურ უკანონობებს, რომელიც მომავალშიც უზრუნველყოფს ჩვენ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომ ასეთი ფაქტი ჩვენ ტერიტორიაზე აღარ მოხდეს.

დღეს პარლამენტმა უნდა მიმართოს ამ შეკითხვით მთავრობას, და ყველა ის ცნობები, რომელიც მთავრობას აქვს, აქ საჯაროდ წაიკვამი უნდა იყოს.

პარლამენტმა უნდა იცოდეს რა ნაბიჯებია უკვე გადადგმული, და რა ზომებს მიიღებს მომავალში მთავრობა, რომ ასეთს ფაქტს ადგილი არ ჰქონდეს. თუ ჩვენ ვერ შევძელით ამ ელემენტალური საერთაშორისო უფლებების დაცვა, რომელიც ეკუთვნის ყოველ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, თუ ეს ვერ შევძელით, ჩვენ არსებობას ყოველი საფუძველი გამოეცლება.

შე გვონია, რომ ყველა უცხო მისია, რომელთაც აქ იმყოფება უნდა ეცნობოს ეს ფაქტი, უნდა გამოირკვეს და გაუქმდეს ყოველ მხრივ, და ჩვენ უნდა მივიღოთ სრული გარანტია იმისა, რომ ვხლავთ აღდგენილი იქნება ჩვენი უფლება და მომავალში არავინ არ შეეცდება ეს ნეიტრალიტეტი ჩვენი სახელმწიფოსი, მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საფუძველი შებღალოს და შეღახოს.

მ. სრული რწმენა მაქვს, რომ ჩვენ მთავრობიდან დღეს მივიღებთ იმ ცნობას, რომელიც მთავრობას უკვე ხელში აქვს.

სრული რწმენა მაქვს, თუ ბევრ საკითხში აქ საბჭო განიყოფება სხვა და სხვა ჯგუფად, ამ მთავარ საკითხში, რადგანაც პირ და პირ დასმულია, ჩვენ ნეიტრალიტეტის არსებობის საკითხი, — ორი აზრი შეუძლებელი იქნება იმისთვის, ვინც სცნობს საქართველოს რეპუბლიკის და მის დამოუკიდებლობას. (ტაში).

ნება მომეცით წაყიეთხო შეკითხვის ტექსტი: სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას მოუვიდა ცნობა, რომ თბილისში ჩამოსულან ოსმალების ასკერები და ჩამოუყვანიათ რამოდენიმე დატყვევებული ინგლისელი, რომლებსაც აქ სდარაჯობენ.

რადგან ასეთი ფაქტი ძირიანად ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის ნეიტრალიტეტს და ყველა დადებულ ხელშეკრულებას ოსმალებთან, ფრაქცია ეკითხება მთავრობას: იცის თუ არა მან ეს ფაქტი და თუ იცის, რა ზომას ხმარობს საქართველოს რესპუბლიკის ნეიტრალიტეტის და მის სახელმწიფოებრივი უფლების შებღალვის წინააღმდეგ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის მთავრობის თავმჯდომარეს.

მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სატყვა.

მოქალაქეო!

დილს, სწორედ როცა მოვდიოდი სახლიდან, აქ ჩემ კაბინეტში, შეითხვევით, ვაზაზე ერთი ჩვენი საბჭოს წევრი შემხვდა და მითხრა, რომ ასკ რებს ჩამოუყვანიათ ტყვე ინგლისელები მართალი ვითხრათ მე ის არ დავიჯერე და ვთქვი, რომ ეს შეუძლებელია. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ვთქვი, რომ ამას ამ მიწუტში გაგივებ.

მოველი აქ, იმავე წუთში დავიბარე გარნიზონის უფროსი და ჩვენი თბილისის მილიციის უფროსი და ამ ორს მივეცი ბრძანება, რომ დაუ-



ყონებლივ წავიდნენ და შეამოწმონ: მართალია თუ არა, რომ ბაქო-დან ასკრებს ტყვე ინგლისელები ჩამოუყვანიათ და თუ ეს შეადგინა მონახონ ის ადგილი, სადაც ეს ტყვეები იმყოფებიან, შეადგინონ აქტი, დააყენონ ყარაულები და ამის შესახებ სწორი ამბავი მომიტანონ.

ისინი წავიდნენ უპირველეს ყოვლისა ოსმალების მისიაში. იქიდან დაბრუნდნენ და სთქვეს: ოსმალების მისიაში ვიყავით და იქ გვიტარეს, რომ ეს მართალი არის, მაგრამ ეს ამბავი მოხდა ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად. ბაქოდან მოიყვანეს ინგლისელები 7 კაცი, მაგრამ რადგან ეს ერთნაირი შებღალვაა თქვენი ინტერესებისა—ჩვენ მოვითხოვთ რომ ის ინგლისელები დაუყონებლივ იყვნენ გაგზავნილნი და ისინი ამ ეამათ ვაგზალში იმყოფებიან.

მე, რასაკვირველია უბრძანებ იმათ, რომ ისინი უსათუოდ ვაგზალზე წასულიყვნენ, ესე იგი მილიციის უფროსი და შეადგინონ აქტი, სახელები და გვარები გამოჰკითხონ და დაუყენონ ყარაულები და უწყემოდ არსად წაიყვანონ.

აი ასეთია ფაქტიური მხარე ამ საქმისა.

ახლა თუ გადავსინჯავთ ამ ფაქტს, უნდა ვსთქვათ, რომ უპირველეს ყოვლისა, ერთი გარემოება იქცევა ყურადღებას. ინგლისელები მოუყვანიათ კვირას და დღეს სამშაბათია, 3 დღეა აქ იმყოფებიან. არავის ჩვენთვის ოფიციალური ცნობა ამის შესახებ არ მოუცია. ოსმალების მისიას ეს სამი დღეა სკოდნია და რასაკვირველია, ჩვენთვის არავითარი ცნობა არ მოუცია.

გარდა ამისა, მე ვიფიქრე, რომ შეიძლება სამხედრო სამინისტრომ მიიღო რაიმე ცნობა. შევეკითხე სავარეო სამინისტროს არსად. არაფერი არ იციან. მაშასადამე აქ უნდა ვთქვათ, რომ ეს ხალხი მოუყვანიათ ჩუმალ და მე ვაგიფე შემთხვევით.

ეს ყოვლად შეუწყნარებელია და სრულიად მოსაწონი არ არის.

შემდეგ. არსებითათ უნდა ითქვას, ჩვენ ტერიტორიაზე არა მარტო სამხედრო ტყვეა, არამედ ჩვენ ტერიტორიაზე, არავის აქვს უფლება დაიჭიროს ვინმე, დააკავოს ვინმე, და ყავდეს დაჭერილი, თუ არ არის ამის ნებართვა ჩვენი მთავრობისა და მისი ორგანიზაციების. არც ერთ მოქალაქეს აქაურს, თუ მოსულს თავის ნებით არ ექმნება უფლება, და არც სხვას ვაძლევთ ამ უფლებას. არც გერმანიის მისიას ვაძლევთ ამ უფლებას, რომ ვინმე დაიჭიროს და ყავდეს აქ. ამის ნებართვას არ ვაძლევთ. ამ შემთხვევაში აქ არის ამ ელემენტარული უფლების დარღვევა, რომ შეიდი კაცი, ისიც სამხედრო ტყვე, ჰყავთ სამი დღე ჩვენ ტერიტორიაზე დამწყვდელი. რასაკვირველია, ეს ჩვენ არ ვიცოდით და ამის ნებართვა ჩვენ, რასაკვირველია, არ მიგვიცია.

რაც შეეხება საერთაშორისო უფლების თვალსაზრისს, უნდა ვთქვა რომ ასეთ შემთხვევაში ერთი გამოსავალია და ერთი ამბავი ხდება: ეს ის, რომ, თუ ასეთ მოყვანილ ტყვეებს იარაღი აქვთ, ამ იარაღს აპყრიან, ართმევენ და ასე ხდება მათი ინტერნატში შენახვა, იმ სახელმწიფოს საზღვრებში, სადაც ეს მოხდა. ეს არის ერთად ერთი ჩვენი წესი საერთაშორისო უფლებისა.

ამ შემთხვევაში, მე მგონია, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ.

გარდა ამისა, უნდა მივაქციოთ თქვენი ყურადღება, რომ აქ რამდენიმედ დამნაშავენი არიან ჩვენი საზღვრების დარღვები. ჩვენ საზღვრებზე, როცა მოიყვანეს, ამ საზღვრების დარღვევის მოვალეობა



იყო ეკითხნათ ვინ არის თავისუფალი მოგზაური თუ ტყვეობაში ერთი რამ შეიძლება ითქვას, მე ეპი მატეს იტყოდნენ: მგზავრები არიანო, და ჩვენი დარაჯები ამიტომ გამოუშვებდნენ, თორემ მე არ მგონია, რომ ჩვენს დარაჯებს ეპი მატეს არ სკოდნოდეთ (იქ ერთი ოფიცერიც არის), რომ არ შეიძლება ტყვეების წამოყვანა ჩვენ საზღვრებში ჩვენს ნება დაუკითხავათ.

ამიტომ რასაკვირველია ამ მხრივ დღეს უმეპველად აქტი შედგება. შეეკითხებოან ინგლისელებს და თუ გამოჩნდა, რომ ისინი გამოვიდნენ ჩვენს საზღვრებში როგორც ტყვეები და არა როგორც თავისუფალი მოგზაურები-ამ შემთხვევაში, მთავრობა მიიღებს ზომებს ერთის მხრით, რომ საზღვრები იქმნენ უკეთ დაცულნი, და თუ მართლა ისინი მოვიდნენ იქიდან როგორც ტყვეები, მეორე მხრივ მივიღებთ ზომებს, რომ საერთაშორისო უფლება, ნორმა და წესი იქნეს კარგად დაცული.

თუ რომ ამ საგანზე მოხდა რამე უფრო გართულება, და თუ გაქიანურდება, ამი შესახებ ჩვენ გვექნება მიზეზი აქ ვილაპარაკოთ და ერთნაირი ვანაჩენი გამოვიტანოთ, მაგრამ დღეს ეს საქმარისია იმიტომ რომ ჩვენ უკვე ამ საქმეს კვალი გამოუჩინეთ, და არ დავანებებთ არავის, რომ ამ საქმის ლიკვიდაციის დროს შებღალოს ჩვენი უფლება, და ჩვენი სუვერენიტეტი.

საქართველოს რესპუბლიკის ერთი ძირითადი დებულება ის არის, რომ ის არის ერთად ერთი ბატონი პატრონი თავის ტერიტორიისა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა.

ეს ძირითადი უფლება იქნა, ამ შემთხვევაში, განგებ ვისმეს მიერ შებღალოლი და ფებ ქვეშ გათელილი.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკათუნის საბჭოს წევრს სპირიდონ კელიას.

სმარადჟან კელა. (ერ. დემ.) არსებითად ამ საკითხის შესახებ, რასაკვირველია, წინააღმდეგ არაფერი არ ითქმის.

როდესაც ქვეყნის მდგომარეობას რაიმე ხიფათი მოვლის, ყოველი მოქალაქე მოვალეა შეუერთდეს დანარჩენ მოქალაქებს, დასტოვოს შინაური განხეთქილება და თვითონ აცილოს საერთო ძალით მისალოდნელი ხიფათი.

ამ მხრივ, მე დარწმუნებული ვარ, რომ იმ შეკითხვას, რომელიც შემოიტანა საბჭოს წევრმა ბატონმა წერეთელმა, საბჭო სრული ერთუზიანებით შეხედება და მიიღებს წინადადებას, სამწუხარო ის არის, რომ ჩვენ მთავრობას დღეს დილით გაუგია, მაშინ, როდესაც ეს ამბავი უბრალო მოქალაქემაც იცოდა გუშინ.

სამწუხარო არის, გარეთვე, ის გარემოებაც, რომ საყვედური თითქოს მიმართულია ოსმალეთის მისიისაკენ, რომელმაც თავის დროზე არ აცნობა ჩვენს მთავრობას.

საყვედურით უნდა მიემართოთ უფრო უმთავრესად ჩვენ აგენტებს, ჩვენს დარაჯებს, ჩვენს მოხელეებს, რომელთაც დავალებული აქვთ, როგორც მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, თვალყური ადევნონ ყოველივე იმას, რაც ხდება ჩვენ ქვეყანაში და ყოველივე ნაბიჯი, რომელიც გადადგმული იქნება ჩვენს ტერიტორიაზე, როგორც ჩვენი კაცების, ისე უცხო კაცების, აწონონ და დააფასონ.

თი ვე არის სამწუხარო. ჩვენ მოვითხოვთ ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის სახელით, რომ მთავრობამ მიიღოს სასტიკი ზომები იმ პირ



თა და მოხელეთა მიმართ, რომელთაც დავალებული აქვს ეს, მაგრამ ვინაშნა დასრულებენ.

რაც შეეხება იმას, რომ დარღვეულია ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ოსმალეთსა და ჩვენს შორის, ეს შართალია, და მთავრობას აქვს სწორედ ეს დანიშნულება მთელი თვის სისასტიკით დაიცვას ის უფლება, რაც მინიჭებული აქვს ხელშეკრულებით.

მოვითხოვთ, რომ ამერიდან, მაინც ადგილი არ ჰქონდეს ასეთ მოვლენას ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში.

აკაკი ფაღაფა. (სოც. ფედ.) სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით მოგახსენებთ, რომ მთავრობის განმარტებამ სრულიად დამაკმაყოფილა.

ამასთან, ფრაქცია გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას, რომ ამისთანა ღრმა მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელსაც, როგორც განაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ, სამი დღის ვადაც ჰქონია, ასე გვიან ვაუგია მთავრობას.

იმედი გვაქვს, რომ მთავრობა მომავალში მიიღებს ზომებს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა არ უნდა ხდებოდეს, და რაც ცხადია და თავისაწინაო თვის დროზე უნდა აღწევდეს მთავრობის ყურადღედ და მთავრობის მიერ სათანადო ზომები დროზე უნდა იქნეს მიღებული.

ასაკე გობაჩია. (სოც. რევ.) სოციალისტ-რევოლუციონერების აზრით, ამ შეკითხვას დიდი მნიშვნელობა აქვს.

შეიძლება ეს ერთი მოქმედება ოსმალეთის მთავრობისა, რომ აქ ჩამოიყვანეს ტყვეები, შეიძლება ეს იყოს ერთი შედეგი იმ გამარჯვებისა, რომელიც მათ მიიღეს ბაქოში.

შე გვონია, ეს ისეთი პრეცედენტი არის, რომ ჩვენი მთავრობა დიდი სისასტიკით უნდა მოეპყრას ამ საკითხს და კიდევაც უმდა განახორციელოს ის, რაც ჩვენ მოვისმინეთ.


ის ინგლისელები, რომელნიც აქ არიან ჩვენს ტერიტორიაზე უნდა იყვნენ განთავისუფლებულნი. რადგანაც ჩვენ ვიცავთ მულზე ნეიტრალიტეტს, ეს ამ მაგალითით უნდა დავამტკიცოთ. ამიტომ ჩვენ, სოციალისტ-რევოლუცი. ფრაქცია კმაყოფილდება მთავრობის განმარტებით და იმედია რაც საჭირო არის, საჭირო ზომებს—მიიღებს.

შალვა ქარუმიძე. (დამოუკიდებელი ერ. დემ.) ფრაქცია (ხმა. რომელი?) გამოსთქვამს თავის კმაყოფილებას მთავრობის პასუხისაღმ.

გამოსთქვამს თავის ღრმა რწმენას, რომ მთავრობა მიიღებს ყოველივე ზომებს, რათა ხელ შეუხებელ იქნეს ის კეთილი განწყობილება და საქართველოს მდგომარეობა უფლებრივი, რომ ამოიწუროს ყოველივე საშუალება, რათა არ დაირღვეს ის ნეიტრალური განწყობილება და ის ურთიერთ შორისა მებოზბლური კეთილი განწყობილება, რომელიც არის ჩვენ და ჩვენ მებოზბელ ერთა შორის.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს, მომხსენებელს წერეთელს.

თაკლა წერეთელი. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის შემოაქვს შემდეგი წინადადება მორიგ საკითხზე ვადასვლის შესახებ (კითხულობს): მოისმინა რა მთავრობამ განმარტება ოსმალთა ასკერებისაგან ტყვე ინგლისელების ჩამოყვანისა ქ. ტფილისში, საქართველოს ეროვნული საბჭო, სრულიად დარწმუნებულია, რომ მთავრობა მიიღებს ყოველივე ზომას ჩვენი სუვერენიტეტის და ნეიტრალიტეტის დარღვევის წინააღმ-



დებ, რომ იგი განახორციელებს ყველა მის მიერ აღნიშნულ უწყებებს სრულ ნდობას და გადადის მორიგ საკითხზე.

აქ ჩნდობის საკითხია. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს არ გამომდინარებს საქმის მდგომარეობიდან. ჩვენ გვსურს ჩვენს ფორმულაში ხაზი გავსვათ ნდობის საკითხის შესახებ, რომ იკოდეს ყველამ არა მარტო შინაურმა არამედ, გარეულმაც, რომ ამ ჩვენი სუვერენიტეტის და ნეიტრალიტეტის დაცვის საკითხში მთავრობის გარშემო გაერთიანებულია მთელი ეროვნული საბჭო და მთელი ხალხი სრული ნდობით ეყრდნობა მას და სრულს დახმარებას გაუწევს ყოველ ზომებში, რომელიც მიმართულია ჩვენ დამოუკიდებელ რესპუბლიკის დასაცავად.

თავმჯდომარე. ვინ არის ამ წინადადების წინააღმდეგ? არაფერ. წინადადება ურთხმად არის მიღებული.

მსჯელობის გაგრძელება ახმეტელის შეკითხვაზე.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ახმეტელს. უპასუხავად; სიტყვა ეკუთვნის გზათა მინისტრ ბ. ლორთქიფანიძეს.

გზათა მინისტრი გვანუ ლორთქიფანიძე. (ს. რ.) წარსულ კრებაზე მოგახსენეთ, რომ მთავრობა წარმოადგენს დამატებით ცნობებს ან ამ საკითხის შესახებ.

მე, უმთავრესად, პირველ ნაწილში ჩემის სიტყვისა შევხებები ჩვენს მოქმედებას. მერე კი შევეჩერდები მოკლედ იმ რეორგანიზაციაზე რომელიც მოახდინა მთავრობამ. და, ერთი თვის განმავლობაში როგორც კანონი მოითხოვს, შემოიტანს შესაფერის კანონპროექტს თქვენ მიერ დასამტკიცებლად.

მე თქვენ მოგახსენეთ ის, რაც მთავრობამ, გააკეთა, როგორც საქართველოში, ისე საქართველოს გარედ პურის შემოტანის შესახებ. მე შინადა მოგაწოდოთ მხოლოდ ერთი დამატებითი ცნობა, რომელიც ჩვენ მივიღეთ გუშინ და გუშინ წინ ერთი კუთხიდან (ხმაურობა). თავმჯდომარე. გთხოვთ სიწყნარე დაიცვათ.

მე მოგახსენებთ, რომ ჩვენ წერილი გვაქვს ყუბანიდან. ყუბანის მთავრობა თანახმა არის, რომ მოქვეყნეს პური. ეხლა ჩვენ ხელში არის ერთი რფიციალური ქაღალდი, ნება მიბოძეთ წაგიკითხოთ (კითხულობს. ყუბანის მთავრობის თავმჯდომარის ბიჩის მოწერილობას სურსათის თაობაზე).

ამის გარდა ყუბანის მთავრობა გვპირდება, რომ მოგვცემს შავი ზღვის ნაპირზე მოექმედ ჩვენს ჯაჭისთვის საქარო პურს. მხოლოდ ჩვენ უნდა გადავიხადოთ ფრახტი ამ პურისა. (კითხულობს იმ სტრუქტურებს წერილისა, სადაც ეს პირობა აღნიშნული)

ამ ტელეგრაფებიდან სჩანს, რომ პირველი პარტია ამ პურისა, მან-ნივეის რაზმისთვის, 5 ფაგონი პური და 8 ფაგონი ქერი უკვე მოსულა და თხოულობენ ნოვოროსისკში გაიგზავნოს გემი.

გუშინ საღამოზე, პირდაპირი მავთულით ეკატერინოდართან, ყუბანის მთავრობის თავმჯდომარეს ელაპარაკა ჩვენი მთავრობის თავმჯდომარე. გამოირკვა, რომ ყუბანის მთავრობას პსურს დამყარდეს მებობ-ლური ვანწყობილება ჩვენსა და მათ შორის, და აღნიშნავს, რომ ყველა ჩვენი მოთხოვნილება სურსათის საკითხის შესახებ, შეძლების და გვარად, დაქაჯაფილებული იქნება.



ეკატერინოპოლში წასული არის ევგენი გეგეკუარი, და ჩვენს მომავალში რობა დარწმუნებული არის, რომ სასურსათო საქმე ამ ახლო მომავალში მოვარდება. ამ გზაზე, ერთად ართი დამაბრკოლებელი და შეშფერებელი მიზეზი შეიძლება იქმნეს ისევ ბოლშევიკების გამარჯვება ყუბანის ოლქში, მაგრამ, ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ ყუბანის მთავრობის ჯარს უკვე მიუღწევია არშაიურის ხაზთან, ასე, რომ ეს საფრთხე შეიძლება აღარ იყვეს მოსალოდნელი. ეს საკითხი მოხსნილი უნდა იყოს.

მეორე საკითხი არის ტრანსპორტის შესახებ. ყუბანის მთავრობა და ჩვენი წარმომადგენელი იტყობინებიან, რომ ნოვოროსისისკში არ არის სატრანსპორტო საშუალება. სხვა მთავრობას წაუყვანია ეს გემები, თუ სხვა პორტებში წასულან, ეს მე არ ვაცი, მაგრამ ისინი თხოულობენ—გამოვეიგზავნეთ საქართველოს გემებიო, საქართველოს დროებითი მთავრობა მიიღებს ყოველივე ღონეს, რომ საქირო გემები ჩვენ გამოვძებნოთ, და გაუგზავნოთ პურის მოსატანად.

დამატებით უნდა მოგახსენოთ, ფრიად საყურადღებო ცნობები, რომელიც მაქვს ქუთაისის გუბერნიიდან. ჯერჯერობით, ვერ გამომიკვლევია, რა არის ამის მიზეზი, მაგრამ ფაქტი ჩვენ წინაშე შემდგვია: თუ ერთი კვირის წინეთ ქუთაისის გუბ., როგორც ქალაქში, ისე სოფლებში იყო მაგარი ფასები სიმინდზე 17—18 თუშანი, ებლა, ამ სამი დღის განმავლობაში ჩვენ გვაქვს ცნობა, რომელიც ჩვენ მივიღეთ ამ მდღეში, რომ ფასები უკვე ჩამოსულა მათზე. ოფიციალური და არა ოფიციალური ცნობები გვაქვს, რომ ეს ფასები კიდევ იწევს ქვევით. უმთავრესი მიზეზი ამ ფასების დაწვეისა ალბათ ის არის, რომ ნაადრევად დათესილი ყანები ადრე შემოვიდნენ, მოსავალს კარგს მოელოან, და ამიტომ სოფლებები ეშურებიან, მოსავალს ხელიდან სიმინდს, რომელიც შარშანდელიდან აქვთ შერჩენილი და შენახული, ამას მე იმიტომ მოგახსენებთ, რომ მივაქციო თქვენი ყურადღება ერთ მთავარ გარემოებაზე, რომ უსათუოდ ახლო მომავალში უნდა შემოვიტანოთ საზღვარ-გარეთიდან 100 ათასი ფუთი, და ეს უსათუოდ დასწევს პურის ფასს, ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში.

მეორე საკითხი, რომელზედაც თქვენი ყურადღება მინდა მივაქციო, არის მარილის საკითხი. ნება მიბოძეთ დაწვრილებით შეგჩერდეთ ამაზე. რადგანაც ამ საკითხის გარეშე არა ნაკლები ვანგაში იყო, ვიდრე პურის საკითხის შესახებ. უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ ყოველთვის, არა მარტო მარილის საკითხზე, არამედ სხვა საკითხებზედაც, მაგალითად, სოდაზე და სხვ., როდესაც მთავრობა ამთავრებ ნაბიჯს გადადგამს და ცოტა ოდენი შედეგი კიდევ უკვე მოსჩანს, მაშინ დაიწყებენ ხმაურობას ის ჯგუფი, რომელნიც დიდი მომხრენი არიან თავისუფალ ვაჭრობის, და ვაჭრებიან იმას, რომ მთავრობა არ აძლევს მას საშუალებას თავისუფლად შემოიტანონ ესა თუ ის საქონელი სახელმწიფოს ფარგლებში, რადგანაც მათ აქვთ საშუალება და მთავრობას კი ვერ შემოაქვს ეს საქონელი—ეს ჯგუფი, უმთავრესად კიდულობს ან შაქარს და ან სხვა სანოვავებს და რომელიმე კაფეების წინ ჰყიდის. ყიდულობს და ჰყიდის ისეთ საქონლებს, რომელიც საქართველოს საზღვრებში არ არის. მარილის საკითხზე სწორედ ასეთი ამბავი მოხდა. როდესაც ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ მარილის კრიზისი იყო, იყო ისეთი ფაქტები, რომ



გირვანჯა მარტილი ღირდა 2 მ. ფუთი 85—90 მ. და მარტილი ბებში, როგორც მთავრობისა, ისე კერძო პირების, არავითარი მართლის რაოდენობა არ იყო, ჩვენ გადაწყვეტით უნათლოა შემოგვეტანა მარტილი საზღვარ გარედან. უწყვედით ანგარიშს იმასაც, რომ ნაფიგაცია ასე თუ ისე თავისუფალი იყო. შეიძლებოდა ეს საკითხი გართულეპულიყო იმით, რომ ყირიმში მომხდარიყო სამოქალაქო ომი, ან ზღვაზე მომხდარიყო რაიმე უბედურება. ჩვენ მოვიხსურეთ, რომ ის ნორმა რომელიც ჩვენ რესპუბლიკისთვის საჭიროა $\frac{1}{2}$ ან ერთი წლის განმავლობაში, უნათლოდ შემოგვეტანა ჩვენ სტატისტიკით გამოვიყვლიეთ, რომ საქართველოს მოუხდება 1 მ. 300 ათ. ფ. მარტილი. ჩვენ გადავეცით, რომ ნაწილი მაინც შემოგეტანათ ზოგიერთ ფირმებს, და შეეკარით ხელშეკრულება ზოგიერთ ფირმებთან. აქ არის ერთი საკითხი, რომელზედაც მინდა მივამოქიო თქვენი ყურადღება: სასურსათო სამინისტროს არც მაშინ, და არც ეხლა არ აქვს პრაქტიკული საშუალება, რომ ეს იჯარით გაცემა ამ სანოვაგით მოახდინო ისე, როგორც ამას თხოულობს სახელმწიფო კანონმდებლობა ე. ი. რუსეთის კანონმდებლობა. რადგანაც დღეს ჯერ-ჯერობით ეს კანონები არის მიჩნეული ჩვენში. რადგანაც ერთგვარი რისკი უნდა გასწიოს ყოველმა ვაჭარმა ამ მოტანის დროს, ისინი არც გვარიან საწინდარს გვამოვებენ და არც დაკლებულ ფასებში იძლევიან საქონელს.

ეხლა, როდესაც ჩვენ თვითონ დიდი ნაწილი მარტილისა შემოვიტანეთ, და ამასთან 2 მ სექტემბრისათვის დანიშნულია იჯარით გაცემა ამ მარტილის შემოტანის უფლებისა თქვენ დარწმუნდებით, იმ ქალაქიდან, რომელიც ჩვენ გვაქვს სამინისტროში, რომ ეხლაც დიდათ არ არის ფასები დაწეული, არც საწინდარ იძლევიან, და არც ასრულებენ იმას, რასაც თხოულობს კანონი.

ჩვენ მაშინ გვეკონდა ორი წინადადება, შესახებ იმისა, რომ აქ, ქ. თბილისში მოიტანდნ მარტილს. ერთ წინადადებაში, რომელიც გერმანოვიჩმა შემოიტანა აღნიშნული იყო, რომ იგი მიუტანს სამინისტროს 100000 ფ. მარტილს. იმ პირობით, რომ სამინისტრომ დაუთმოს ქ. თფილისის თვითმართველობას. მეორე წინადადება—450-ათ. ფ. მარტილის, შესახებ შემოიტანა მეორე კონტრაგენტმა ხოდოროვიჩმა. უნდა მოგახსენოთ რომ ორივე კონტრაგენტმა თავინათ დაპირება შესარულეს. გერმანოვიჩმა უკვე მოიტანა 200/ათ. ფ. მარტილი და ჩვენ ჩაბარებული გვაქვს. რაც შეეხება ხოდოროვიჩს იმან 300 ვაგ. მარტილი შემოიტანა. ამის გარდა, ჩვენ ვყვდულობთ პატარ-პატარა პარტიებს ფოთში, და რეკვიზიციის ძალით ჩამოვართვით სხვა და სხვა შესაკუთრებებს, ასე რომ ეხლა დაახლოვებით ჩვენ გვაქვს იმდენი მარტილი, რომ ამ მარტილის ყიდვის უფლებას გავლევთ როგორც კოლმერატივებს ისე ქალაქების ვაჭარებს, ქალაქის ვაჭეობას. საქართვე. რესპუბლიკის ფარგლებში ეხლა არის არა ნაწლებ 600/ათასა ფუთი მარტილისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ გამოკვლევით, რომელიც ჩვენ მოგახდინეთ, ჩვენ უკვე გვაქვს $\frac{1}{2}$ წლის ნორმა. ამ მხრივ ასე თუ ისე დაქაყოფილებულნი და უზრუნველყოფილნი ვართ.

აქ დიდი მითქმა-მოთქმა იყო იმის შესახებ რომ სამინისტრომ გაცა დიდ ფასებში ეს უფლება მაშინ, როდესაც იყო სხვა და სხვა წინადადება რომ ნაკლებ ფასებში ჩამოიტანნ მარტილს. უნდა მოგახსენოთ რომ ეს არ შეეფერება სიმართლეს. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ გვაქ



ცნობები, ქალაქის თვითმართველობისაგან სხვა და სხვა კომუნალურ
 ვებისაგან და აქედან სჩანს, რომ ამ დღეებში, ამ რიცხვებში, თითქმის
 ამ თვეებში არავითარ საზოგადოებრივ დაწესებულებას ამაზე
 ფასებში მარტილი არ შემოიტანია. ფასი მარტილისა იყო შემდეგი: 8 მანეთი
 ვაგონში ჩაწყობილი ქ. ფოთში.

აქ არის ერთი განცხადება, რომელიც საზოგადოთ იქცევს დიდ
 ყურადღებას. აღბათ ის ფინიც არის ამ განცხადების რეცეპტორი არ
 აკლეს ხელს, რომ ეს ვაგონს ფართო საზოგადოება. საქმე იმაშია,
 რომ 13 ივლ. ქ. კერძო იმყოფებოდა ჩვენი რწმუნებული ცინცაძე.
 და იმ ცინცაძემ მისცა 30,000 მ. აფანსად, ერთ ქართველ მოვაჭრეს
 ქვეყნლოეს და იყიდა მისგან 13000 ფ. მარტილი მ მანეთად 6 შაურად
 ფუთი. (пять франко за тысячу). ესე იგი, გეში, ქვევით ტრიუ-
 შში, თუშკა ამის შესახებ კერძოდ არავითარი ცნობა არ გვაქვს, და
 ჯერ აღბად არც გვექნება, რდგან კერძოდან ტელეგრაფი არ მუშაობს,
 მართალია, ჩვენ ამავე დროს შეგვიარით ხელშეკრულება ხოდოროვთან
 და გერმანოვიჩთან მაგრამ იქ თუ ფუთს 5 მ. 30 ქ. აწლებდენ ჩვენ
 ამ დროს 8 მანეთი მივეციოთ ფუთში. მაგრამ უნდა მოვახსენოთ, რომ
 ეს მარტილი უნდა იყოს ვაგონში ჩაწყობილი, ფოთში. აღბად მოგვხ-
 სენებათ, რომ დიდი განსხვავებაა, თუ სად აღლებენ მარტილს ვაჭრები:
 კერძოში, ტრიუშში თუ ვაგონში ჩაწყობილს. თუ 5 მ. 30 ქ. მიუშა-
 ტებთ იმ გადასახადებს, რომელიც იქნება გადახდილი, მაგალითად ფო-
 თის სასაბჭებლოდ, აქციოს, ისე მუშის ფასს, მაშინ დაინახავთ, რომ
 ეს 8 მ. უდრის. როდესაც ამაზე ლაპარაკი დაიწყეს, რომ შეიძლება
 უფრო იაფად შემოიტანათ. მე დავაჯალე ერთ ჩემ მოხელეს და გაგვხავენე
 გველოვთან რომ მოსულიყო სამინისტროში, რამდენიმე დღეარ მოვიდა და
 შემდეგ ვამოგზავნა ქალაქი, რომ მოიტანს ტრიუშში ქ. ფოთში. მხოლოდ
 მოითხოვედა რომ ჩვენ მივეცოთ მონომოლიის უფლება ამ მარტილს შე-
 მოტანაში. შემდეგ როდესაც დაიწყო შემოტანა მარტილისა ისე იგივე წი-
 ნადადება შემოიტანა, და ელა, როდესაც ჩვენ პირველ იჯარით ვაცემა
 ვეჭონდა, აქ ჩვენი დიდი მოკატრებები, რომელნიც ყვიროდნენ რომ ეს
 8 მ. მეტიაო, ისინი ამბობენ, რომ შემოიტანენ არა ჩაკლებ 7 მ. 45 ქ.
 არის ერთი პატარა პარტია 70 ფ. რომელიც ამბობს, რომ შემოიტანს
 ფუთს 6 მ. 80 ქ. აქედან ნათლად სჩანს, რომ სხვა გზა მთავრობას,
 სამინისტროს არ ჰქონდა. საჯარო ვაჭრობა საერთო წესით ვერ მო-
 ხერხდა. და ეს თვე ნახევარი, რამაც ვაიარა მას აქეთ, რაც სახელმწი-
 ფო კონტროლიერმა გამოაცხადა, რომ საქროა უსათუოდ საჯარო ვაჭ-
 რობა, ამ დროს ვერც კერძო პირებთან და ვერც საზოგადო დაწესე-
 ბულებებთან ხელ შეკრულების დადება ვერ შეგძელით

უნდა გაუწიოთ ანგარიში იმასაც, რომ გარდამავალ ხანაში ეცხო-
 ვრობათ; ომი არ არის, ომის ვარეშე ვართ, მაგრამ ომის მდგომარეო-
 ბაშია თითქმის ყველა ქვეყნები და ამ კანონებს ყველას ჩვენ ვერ შე-
 ვასრულებთ. ფაქტი ასეთია რომ ასე, თუ ისე საქართველოს ფარგლებში
 შემოიტანილი იქნება თითქმის ნახევარი წლის ნორმა მარტილი.

აქ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმასაც, რომ სამინისტრომ ამ ორ
 საკითხზე უზუნუნის გარდა ყურადღება მიაქცია ჩაის მოკრებას. მან რწმუ-
 ნებულმა გაგვხაენა ქუთაისის გუბერნიაში მოცვის ჩაის შესაკრებად.
 თქვენ კარგად მოგვხსენებათ, რომ ჩიი ძლიერ ცოტა არის და კერძო
 ვაჭრები ინახავენ და შემდეგ სპეკულიაციის საგნად ხდიან, და ჩვენ

უნდა ზომები მივიღოთ, რომ ჩაი გვეშოვნა. ჩვენ გამოვიკვლიეთ, რომ ის ჩაი, რომელსაც წინაღ სემინდენ საქართველოში, როგორც ძვირფას ჩაის, ვისოცკისას და პოპოვისას, — ეს ყოფილა იგივე მოცვის ჩაი, რომელიც ურბებს გაჰქონდათ ოდესხანა. იქ აკეთებდნენ მშენებრივად ისეთივე ქალაღდით და უკანვე შემოჰქონდათ ჩვენ კი ვყიდულობდით ისე როგორც ჩინურ ჩაის.

ჩვენ დავიწყეთ ამ ჩაის შეგროვება და გაკეთება. ამჟვე ჩაის მუშაობა დავიწყეს ქუთაისის კერძო ვაჭრებში. ეხლა ქუთაისში მუშაობს 2 თუ 3 ქარხანა. განსაკუთრებით კარგადაა მოწყობილი დათეშიძის ქარხანა. ამ ქარხანაში იმუშავებენ ისეთ საუკეთესო სორტის მოცვის ჩაის, რომ იმას ვერ გაარჩევთ ჩინურ ჩაისაგან. მაგრამ აქაც დიდი ბრძოლა გვქირია სპეკულიაციასთან. თუმცა აკრძალულია ქუთაისის გუბერნიიდან მოცვის ჩაის გამოტანა, ჩვენ ნება დაურთველად მაგრამ სხვა და სხვა საშუალებით, რალაც მახინციკებით მაინც გააქვთ აქედან ჩაი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახლო მომავალში შევაგროვებთ 20 ათას ფუნტს; ეხლა ჯერ-ჯერობით შეგროვილი გვაქვს 7 ათასი ფუნტი. ჩვენი რწმუნებული ამბობს, რომ ჩვენ ეხლავე რაიმე რადიკალური ზომები უნდა მივიღოთ, ამ გატანის წინააღმდეგ, რადგან დიდი ნაწილი ჩაისა გააქვთ ურბებით, მატარებლით დი პატარ პატარა ჩანთებით. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ჩაის გატანას ეწვევიან ის ვაჭრები, რომელთაც ასე თუ ისე კავშირი აქვთ ადერბეიჯანთან. თქვენ იცით, რომ შაქარს და ჩაის დიდი ვასავალი აქვთ ადერბეიჯანში.

სოდის შესახებ მოგახსენეთ წარსულ კრებაზე მე მგონი მეტი დამატება არ უნდა.

თამბაქოს შესახებ, რომლის საქმეს აწარმოებს სამინისტრო, ჰქონდა მიცემული ნახევარი მილიონი აფანსად. ეს იყო, როგორც შემწეობა, რომელიც ჩვენ მიუეციით გურიის მეთამბაქოებს. ის თამბაქო რაც არის გურიაში ჩვენ დაკვეთილი გვაქვს.

შაქრის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ მდგომარეობა ასეთია: ამ 2 თუ 3 თვის განმავლობაში უნდა მივიღოთ უკრაინიდან. იქ ვაგზავნილია კაცი, დავალებული აქვს და პრინციპიალური თანხმობა უკრაინის მთავრობისა უკვე გვაქვს. მაგრამ უკრაინის მთავრობა, თხოულობს უსათუოთ საქონლის გაცვლას. ნორმა შაქრისა, რომელიც ჩვენ გვქირდება დიდი არის დაახლოვებით 800 900 ათს ფუნთამდის, ეხლა კი თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში, იმას რომ ყველა ქალაქები და სოფლები თბილისის გუბერნიისა პირველ ოქტომბრამდისინ, და თუ მივიღებთ მხედველობაში აგრეთვე იმას, რომ ჩვენ ჯარს ერთი წლის სამყოფი შაქარი აქვს, ასე რომ ენკენისთვის დაწესებიდან ჩვენ გვაქვს დაახლოვებით 120—140 ვაგონი შაქარი, უნდა მოგახსენოთ, რომ ნაწილი ამ შაქრისა ჯერ კიდევ არის აღმოსაჩენი სხვა და სხვა დაწესებულებაში. აღბად ეს გამოწვეულია იმით, რომ შაქარი მეტად ტკბილია, და 15 ჯერ რომ მისწერო რომელიმე დაწესებულებას, მე-16-ეთ მიიღებთ პასუხს, რომ შაქარი ამდენი და ამდენი არისო. ზოგიერთი დაწესებულება არც სრულ სიმართლეს ამბობს ამ შაქრის შესახებ.

აი, ბატონებო, მოკლე განხილვა სასურსათო სამინისტროს პოლიტიკისა ამ 3—4 თვის განმავლობაში.

უნდა მოგახსენოთ, რომ სასურსათო სამინისტროს გარშემო დიდი განგაშია ატეხილი იმიტომ, რომ ბევრ წრეებს ქართულ ასოგა-

დოგებისას, ახე თუ ისე მატერიალური კავშირი აქვს ვაჭრებ-საქეულებს-
ტებთან. ამით ალბათ გამოწვეულია ის, რომ ესა თუ ის მოქმედებაში
სამინისტროსი იწვევს ასეთ შიშველვარებას საზოგადოებაში.

უნდა მოგახსენოთ, რომ ის წერილები, რომელიც იწერება პრე-
საში პურის შესახებ, იწერება, ასე რომ ვთქვათ ზეპირათ. თქვენ კარ-
გად გახსოვთ თუ რა დიდი განგაში და აურ-ზაური გამოიწვია ერთმა
წერილმა, რომელიც იყო მოთავსებული „სახალხო საქმე“-ში, ამ წე-
რილს ხელს აწერდა მეტრეველი. წერილიდან ნათლად სჩანს, რომ ან
მინისტრი, ან მისი ამხანაგი ან და ერთი უმაღლესი მოხელე მთავრო-
ბისა. არამც თუ იღებს კრთაშს, არამედ აულია 5000 მანეთი და მიუ-
ცია ერთი ვაგონი შაქარი, როდესაც ჩვენ შევსახოვეთ პასუხი ბატონ
მეტრეველს, რომ ვაგვეგო რაშია საქმე—იმან მოგვეცა შემდეგი პასუხი:
—ჯერ დაასახელა ის პირი; მან სთქვა, რომ ის არის ჩვენი წერილი
ავგენტი სოფელ გომში. ასეთი ავგენტი იყო პურის შეკრებაში. ჩვენ კი
შემდეგ ასეთი წერილი გამოგვიგზავნია: (კითხულობს:) გამო-
დიოდა ისე, რომ რაღაც ბოროტ-მოქმედება წყოფილა და
მას უნდა გამოარკვიოს. ხოლო ამისათვის ის იწერება—ვთხოვ, რომ
მინისტრმა მე დამნიშნოს საქმის საგანგებო გამომძიებლად. დამერ-
წმუნეთ, რომ ასეთი საშუალებით გამოსვლა სამინისტროს წინააღმდეგ
ყოვლად შეუწყნარებელია. მე წარსულ კრებაზე მოგახსენეთ, რომ მთა
ფრობა იმუშავებს ახალ პროექტს სასურსათო საქმეთა რეორგანიზაციის
შესახებ, ამიტომ ნება მიბოძეთ მოკლეთ ამაზე შევჩერდე, რადგან ეს
მთავრობის მიერ დამტკიცებულია.

ამიერ კავკასიის და ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის,
გამოცხადების შემდეგ არსებობდა სასურსათო საქმეთა სამინისტრო, რო-
გორც ერთი დაწესებულება სახელმწიფოსი და მთავრობისა.

და აი როდესაც ჩვენ ვსაჯელობდით ამ საკითხზე, ჩვენი წინდა-
დგა ასეთი მთავარი საკითხი—არის. თუ არა საქირო რომ ეს ორგა-
ნიზაცია, რომელიც სათავეში უდგება ამ საქმეს და გაუძღვება მას
და ესეც უნდა წილით მხედველობაში, რაც იწერება ამ სასურსათო ორ-
განიზაციის წინააღმდეგ, რომ ის არაფერს არ აკეთებს, მეორე უმთავ-
რესი საკითხი არის პურზე თავისუფალ ვაჭრობის გამოცხადების შე-
სახებ. რომ ნორმალურ პირობებში იყოს ამ საქმის ვითარება მაშინ
სხვაა. მაშინ თავისუფალ ვაჭრობას კიდევ ექნებოდა არზი, რომელსაც
ასე თუ ისე ვაგლენა ჰქონდა ამ ორი კვირის წინ. მაგრამ ეხლა ასეთ
მტკიცებას, ასეთ სქემას უკვე გამოეცალა ნიადაგი და ეხლა ამას თით-
ქმის არვი ამტკიცებს და ჩემის აზრით ეს ასეც უნდა იყოს, რადგან
ყველა თქვენგანი გაცნობილი არის თუ რა ხდება საქართველოს ფარ-
გლებში სხვა და სხვა ჯგუფების და სხვა და სხვა ორგანიზაციების მიერ
არ არის არც ერთი დარგი სასურსათო საქმეში, რომ არ იყოს, ერთის
მხრივ საოცარი სპეკულიაცია და მეორის მხრივ შესყიდვა. მაგალითად
ერთი ორგანიზაცია ყიდულობს მაწონს; რაღაც საშუალებით ახშობენ,
ნაწილი აქ რჩება, ნაწილი იგზავნება. მეორე ორგანიზაცია ყიდულობს
კვერცხებს და ახშობს. ამ კვერცხების ნაწილი იგზავნება, ნაწილი რჩება:
თუმცა დიდ თვალყურს ვადევნებთ, მაგრამ ვერ ვაგვიცია თუ რა სა-
შუალებით ახერხებენ ამას. მეორე ორგანიზაციას ძალიან შეჰყვარებია
ლორები; ყიდულობენ ქუთაისის გუბერნიაში და დიდ ფასებს აძლევენ.
ამასთან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ისეთ სავაჭრო და-



წესებულებებს რომელიც ყიდულობენ სხვა და სხვა ნედლე ქახარის, ხილს, დაფნის ფოთოლს, მატყლს და სხვა. პატარ-პატარა მარაგებებს და აგროვებენ ფოთში, სამტრედიასა და თბილისში.

ამ ბოლო დროს მიღის აწარებელი ხალხი და თხოულობს ამ საქონლის გატანას ფოთში, რიქშირში, სოჭაში, სოხუში და საერთოდ შავ ზღვის პირად მდებარე ქალაქებში. ამისდა მიხედვით, რადგან ჩვენ უნდა შემოვიტანოთ ზური, შაქარი და მანუფაქტურა და არა გვაქვს საშუალება ასე თუ ისე მოვაწესრიგოთ ჩვენი საეკონომიკური ბაზანი, ამიტომ უსათუოდ უნდა არსებობდეს ისეთი ორგანო, რომელიც შესძლებს თავალყური აღდგენის გაკეთებას გამოცვლის საქმეს. აქ შეიძლება იმის თქმა, რასაკვირველია, რომ გაკეთდა გამოცვლის ორგანო უკვე არსებდეს, მაგრამ, რადგან სახელმწიფო ვერ დამანებებს ამ საქმეს თავს სრულიად ეს საკითხი არის ჩვენი ყოფნა არ ყოფნას დღევანდელ პირობებში. მთავარია, ან საზოგადო დაწესებულებანი უნდა აწარმოებდნენ იმ მსხვილ „ზავატოეებს“, ყიდვას, შექმნას ამ საქონლისას. უსათუოდ საქიროა, რომ არსებობდეს ესეთი ცენტრალური ორგანო.

ამის შემდეგ მთავრობა შეჩერდა მეორე საკითხზე, — თუ რა ტიპის რა სახის უნდა იყოს ახალი, მომავალი ორგანო; — უნდა დარჩეს ისე, როგორც არის ესლანდელი სამინისტრო, თუ შეიძლება რაიმე ახალი ძალები შემოვიყვანეთ ამ სამინისტროში. აქ მთავრობამ ერთ — ხმათ აღიარა, რომ რადგანაც ამ საკითხში დიდად დაინტერესებულნი არიან სხვა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი, ერთმანი, ქალაქები და კომუნარტოეები, ამიტომ მათი წარმომადგენლების ყოლა ამ საკითხის ახლო, მათი მუშაობა, რასაკვირველია დიდ სარგებლობას მოუტანს ამ საკითხს, გააშუქებს და მოაგვარებს. მეორე მხრივ, რადგანაც ჩვენ ახლო არა გვაქვს ასეთი აპარატი, რომ ეს საკითხი მოგვეგვაროთ ისე, როგორც საქიროა, უსათუოდ უნდა შემოვიდნენ ახალი ძალები ამ ორგანიზაციაში და დაეხმარონ მთავრობას და სახელმწიფოს. ამ საქმის მოგვარებაში — ამიტომ მთავრობა შეჩერდა იმ პროექტზე, რომელიც დაამტკიცეს ამ თვის 19 ში. ამ პროექტის ძალით უმაღლესი ორგანო მთელი სახელმწიფოს სასურსათო საქმისი საქართველოში არის სასურსათო საბჭო. ამ სასურსათო საბჭოს შემადგენლობა შემდეგია: ერთი წარმომადგენელი ქალაქ თბილისისა (ვეზაველი „რადგან თბილისი ყველაზე მეტსა სჭამს“) დიან; ყველაზე მეტსა სჭამს და დიდი მოთხოვნილება აქვს; სამი წარმომადგენელი მთავრობისა, სამი წარმომადგენელი ქალაქთა კავშირისა, სამი წარმომადგენელი მომავალ ერობისა, სამი კომუნარტოე კავშირისა [ერთი მუშათა ცენტრალურ ორგანიზაციის, ერთი ჯარის მთავარ საინტენდანტოსი, ერთი სახალხო გვარდიისა, ერთი სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელი, ერთი რკინისგზის მოსამსახურეთა წარმომადგენელი და თითო წარმომადგენელი მიწად მოქმედების სამინისტროსი, გზათა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროებისა. აი ეს ორგანო იქნება მთავარი გამგე ამ სასურსათო საქმისა. ჭდათ, აქ შეიძლება დაისვას შემდეგი კითხვა თუ იქნება არჩეული ესეთი ორგანო, სასურსათო საბჭო, შეიძლება მთელი ძალა უფლება და მთელი მართვა გამგეობა გადაეცეთ იმას ხელში და მთავრობა გადადგეს ვანზე. ეს შეიძლება იდეალური იქნებოდა იმ მხრივ, რომ მთავრობა სხვა საქმეს მოჰკიდებდა ხელს და ეს საკითხი იქნება გატარებული ცხოვრებაში ამ ორგანოს მხრივ, მაგრამ რადგან ეს ორგანო მეტად



სუსტია ფინანსიურის მხრივ, უსათუოდ სახელმწიფომ უკვე ამიტომ მთავრობამ ვერ დაინახა საჭიროთ, რომ ეს ორგანი სრულ-ლიად თავისუფალი იყოს თავის მოქმედებაში და იქ არ იყოს მთავრობის კაცი. ამიტომ მთავრობამ დაადგინა რომ თავმჯდომარე საბჭოსი, ისე როგორც თავმჯდომარე გამგეობისა უნდა იყოს უსათუოდ კაცი, რომელიც იქნება მთავრობის მიერ დანიშნული, ხოლო მისი ამხანაგები, 2 მისი ახლო მდგომი თანამშრომელი, იქნება არჩეული ამ სასურსათო საბჭოს მიერ. აი, მოკლედ, ბატონებო, სქემა იმ ორგანოსი, რომელიც უკვე დამტკიცებულია მთავრობის მიერ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახლო მომავალში, ამ ორ სამ დღის განმავლობაში ეს ორგანიზაცია უკვე შეუდგება თავის მოვალეობის ასრულებას და ვააქეთებს იმ საქმეს, რომელიც დავალებული იქნება სახელმწიფოსაგან. და ამას უმთავრესად უნდა მოვქციოთ ყურადღება, რომ თუ ვერ შემოვიტანეთ ერთ კვირის განმავლობაში და არც გვაქვს იმედი, რომ შევძლოთ ერთ კვირის განმავლობაში პურის გამოიტანა, მაშინ ეს ორგანო უნდა შეუდგეს პურის ყიდვას, შეიძლება ზოგიერთ კუთხეებში ჩვენი რესპუბლიკისა იზადება კითხვა, რომ შეგროვდეს ის თანხა პურისა, რომელიც საჭირო იქნება ჯარისთვის და სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებლობისთვის და მოხელეთათვის. მთავრობამ და ამ ორგანომ უნდა იზრუნოს, უსათუოდ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში მცხოვრებნი უნდა იყვნენ უზრუნველ ყოფილნი სასურსათოს მხრივ. აქ, მე მგონია უნდა იყოს შესაძლებელი მთელ მცხოვრებთა ორ კატეგორიად გაიყოფა. ერთის მხრივ რესპუბლიკის ჯარი და ყველა ის ვინც ეწევა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობას, ამათი დაკმაყოფილება უნდა იყოს პირველ რიგში და მეორე რიგში — დანარჩენი მოქალაქენი.

ეხლა ბოლოს, ორიოდ სიტყვა უნდა ვსთქვა, უნდა უპასუხო ბატონ ახმეტელს დამატებით, თუ როგორ შეიძლება კატეგორიებად დაყოფა. აი ამისი მაგალითი გვაქვს. თქვენ იცით, რუსეთიდან ეხლა დაბრუნდა აქაური კადეტი სემიონოვი, ყოველი წევრი ამიერკავკასიის სეიმისა, ალბად მის დაწერილებით წერილებს წაიკითხავდით ერთ ერთ გაზეთში და ვაიგებდით რას წარმოადგენს ამ დღეებში რუსეთი. მაგრამ ერთი საყურადღებო ცნობა გადმოშვა ამ კატეგორიების შესახებ. ყველა მცხოვრებნი დაყოფილი არიან 4 კატეგორიად. პირველი კატეგორიაში არიან „სოვეტსკია უჩრეედენია“, ყველა სოვეტები, ვინც მსახურობენ სოვეტის დაწესებულებებში, ისინი იღებენ $\frac{1}{4}$ გირვანქა პურს, მე-2 ე კატეგორიაში არიან. ისინი, ვინ თანაუტრანობენ რესპუბლიკის საბჭოს, ისინი იღებენ გირვანქის $\frac{1}{2}$ -ს, მე-3-ე კატეგორიაში არიან ისინი, რომელიც წინააღმდეგი არიან საბჭოთა რესპუბლიკისა, მაგრამ არც ბურჟუები არიან, „ნაიპიტე ბურგი“ მათ აქვთ გირვანქის $\frac{1}{4}$, ბურჟუაზია ეკუთვნის მე-4-ე კატეგორიას ისინი იღებენ მარტო ორ „სელიადკას“ (სიცილი) აი ჩვენ, რომ დაუჯეროთ ბატონ ახმეტელის სქემას, ის ამბობს, რომ ჩვენ ასე უნდა მოვიქცეთ საქართველოში მხოლოდ იმისათვის... (გაბაშვილი. აქაც ასეა.) თუ თქვენი შეგობრები, მარცხნივ ბ. რევან გაბაშვილო ვაიმარჯვებენ, მაშინ შეიძლება ეს ასე იყოს, მაგრამ, სანამ ჩვენი მთავრობა იქნება საქართველოს რესპუბლიკის სათავეში, ეს ასე არ იქნება, მანამ ეს ორი კატეგორია იქნება და სხვა არაფერი.


თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ახმეტელს



საქართველო

ად. ახმეტელი. (რად. დემ.) ბატონებო! მე უნდა გეტყუთქებოთ, რომ მოეტყუდეთ რომ არასოდეს ისე არ გამოიყურება ჩემი საკუთარი გულუბ-
 ყრულობა, როგორც ბ. ლორთქიფანიძის პასუხის შემდეგ; არასოდეს
 არაფის არ ჩაუყენებიათ ისე უხერხულ მდგომარეობაში როგორც ბ.
 ლორთქიფანიძეს და ეს მან მოახერხა მხოლოდ და მხოლოდ იმ წარ-
 მოუდგენელ გაბედულებით, რომელიც მან ამ კათედრაზე გამოიჩინა
 მან სთქვა რომ არც ერთი საბუთით, არც ერთი ფაქტით არ შეგხო ბ.
 ახმეტელი სასურსათო ორგანიზაციას, და მეორეც არაფითარი ახალი
 გვევა არ წარმოადგინაო. დიახ, ბატონებო, მე განზრახ არ გამოვეცი
 და არ ვსთქვი რა სასურსათო სამინისტროზე და თქვენ ბ. მინისტრო
 იცოდით რომ არაფერს ვიტყვოდი: არ ვიტყვოდი, არ გამოვამეტლებდი
 თქვენს სამინისტროს წინააღმდეგ; მხოლოდ იმიტომ, რომ იმ მთავრო-
 ბას, რომელსაც თქვენ იცამთ, და მეც ვიცამ, მეტის შეტად უხერხულ
 მდგომარეობაში ჩააყენებენ. (ლორთქიფანიძე, გთხოვეთ, გთხოვეთ) კეთი-
 ლი და პატროსანი, ბატონო რადგანაც თვითონ მთავრობა მოითხოვს,
 რომ ფაქტები უსათუთო წარმოვადგინო, მეც იძულებული ვარ ვსთქვა-
 უბირველესად მე ვადმოქცემთ. იმ ფაქტებს, რომელნიც სასურსათო
 სამინისტროს შეეხებოდა, შემდეგ კი გადავალ იმ ახალ გვეგაზე, რომე-
 ლიც ჩემს ღრმა რწმენით უფრო მოაწესრიგებს ჩვენ აწეწილ სასურსა-
 თო საქმეს ვიდრე მთავრობის მიერ შექმნილი ახალი ორგანო სასურს-
 თოთა საბჭოს სახით.

მთელი მოქმედება სასურსათო სამინისტროსი, პირდაპირ ვიტყვი მე
 არის პირწაფარნილი ჰანაში. (მთავრობის თავმჯდომარე, რაო.) თბილი-
 სის სადგურიდან დღევანდლამდინ თუ ცოტა ადრე სულ გასულა 30
 ფაგონამდე შეპარი. თუ მივიღებთ იმ ღირებულებას მხედველობაში, რომ-
 მელიც აღერბებიჯანში არსებობს, მაშასადამე გასულა 27 მილიონის
 შეპარი, სამაგიეროთ რამდენიც არ ვეძებენ, მინდოდა გავეგო რამდენი
 პური შემოვიტანეთ იქიდან, ჯერ არ იციათ შემოვიტანეთ რამე მაინც
 თუ არა. ის ნორმები, ის ფასები რომ ავიღოთ, რომლებსაც სამინისტ-
 ტრო ახდევიანებს შეპარზე, გამოვა რომ ეს შეპარი სამინისტროს გაუ-
 ყიდნია 7 მილ. და კერძო ვაჭრებს კი სამაგიეროდ მოუგიათ 20 მი-
 ლიონი. შავალითად სასურსათო სამინისტროს ერთ პიროვნებისათვის
 მაშადი ალი ტაგიევისათვის მიუცია 2 ათასი ფუთი შეპარი აზერბეი-
 ეანში გასაყიდათ, სამაგიეროთ მას უნდა მოეცა ერთი ვაგონი პური
 და 130 ათასი მანეთი ფულად. ფუთი პური ხორბალი ამ დროს ღირდა
 5-6 თუმანი, შეპარი ღირდა ამ დროს აზერბეიეანში 900 მან. ფუთი, ეს
 იცოდა ყოველივე მოქალაქემ თბილისში რომ შეპარი აზერბეიეანში ღირს
 საშინლად ძვირათ, ისევე ძვირათ როგორც ჩაი. ვიანგარშოდ, -მაშადი ალი
 ტაგიევი გაყიდა ეს ორი ვაგონი შეპარი 1.800 ათას მანეთად. სამა-
 გიეროთ ჩვენს მთავრობას მისცა 180 ათასი მანეთი. იმავე დროს, სწო-
 რეთ იმ წუთს, ისევე სასურსათოს მეორე კონტრაგენტმა ვილაყა ქარ-
 თველ კაპიჩაიას, (გვარი შეიძლება სწორე არ იყოს) აძლევს შეპარი 320
 მან., მე ვერ ვაშიგია თუ ის მაშადი ალი ტაგიევის აძლევს ისე იათათ,
 ვსთქვათ მაშანდა არ იცოდა სამინისტროში რაღა მოხდა, რომ ქართ-
 ველს აძლევს ასე ძვირათ შედარებით ტაგიევიან. მესამე ხელშეკრუ-
 ლობა, რომელიც დაულო სამინისტრომ ვილაყა მაშინაიშვილს მდგო-
 მარეობს შემდეგში. მაშინაიშვილმა ვალდებულება აიღო თავის თავზე
 მოეტყუანა და ჩემბარეზინა ათასი სული საქონელი 38 მან. 50 კ. ფუთი



კოცხალი ხორცი — სამაგიეროთ ის იღებს 2 ათას ფუთ შაქარს და 200 ფუთს ჩაის. ესთქვათ, თითო სული საქონელი იწონის 20 ფუთს; თუშკა ისიც მართალია, რომ მე 20 ფ. საქონელი ჯერ არ მინახავს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ კოცხათაც გავაპართლოთ ეს ხელშეკრულება ვიანგარიშოთ 20 ფუთი. მაშასადამე, 20 ათასი ფუთი უნდა მოეტანა მამინაიშვილს 38 მან. და 50 შაურობაზე; ფულზედ, რომ გადერთანოთ მამინაიშვილმა უნდა მოიტანოს 770 ათასი მან. ხორცი. სამაგიეროთ მას მიუღია, 2 მილ. მან... შაქარი და 200 ფუთი ჩაი. ამ დროს ფასი უკვე იწვეს ადერბეიჯანში შაქარზე, — საზოგადოთ ამ დროს ისეთი სულისკვეთებაა ვაქრებში: ოლონლა შაქარი მიეცი ვაქარს და რა საქონელი გინდათ მოგიტანს, მხოლოდ ნება დართეთ, რ. ამ ეს შაქარი გაიტანოს ადერბეიჯანში. არის აგრეთვე ერთი ისეთი ღიის შესანიშნავი ხელშეკრულება სასურსათო სამინისტროში, რომელსაც სულ უსუსური ბოეშვიცი კი ხელს არ მოაწერდა. საზოგადოთ მე არას ვამბობ და არც ეჭვი მეპარება, პირდაპირ ბ. ლორთქიფანიძეზე, მე სახეში მაქვს მისი სამინისტრო და მათი პირდაპირი ხელმძღვანელი. ეს ხელშეკრულება დადებულია Кутаисская Украинская Громада-სთან შეილი ხელშეკრულება 4 მუხლისაგან შესდგება. ამ მუხლებში ნათქვამია: ჩვენი შემოვიტანთ ხორბალს, პურს, ქერს და ფქვილს; არ არის ნათქვამი, როდის, რამდენი და რა ფასებში; როცა შემოვიტანთ მაშინ შევთანხმდებით ფასებშიო. ამბობს ხელშეკრულება. მე გეკითხებით ბატონებო, შეიძლება სახელმწიფოს ინტერესების დამცველმა შეჭრან ისეთი ხელშეკრულება, სადაც არც ფადა, არც გარანტია და არც სხვა პირობები იქნება აღნიშნული?

მიკვირს, როგორ მოაწერა სამინისტრომ ხელი ასეთ ხელშეკრულებას. უკაცრავად, ბატონო. მე დამავიწყდა ფრიად საყურადღებო ფაქტი: როდესაც მამედ-ალი ტაგიევი ორი ათასი ფუთი შაქარი მისცეს, თან რასაკვირველია ადერბეიჯანში გატანის ნებართვა უბოძეს. სადგურზე ტაგიევიც კოცხა საქმე გაუხლართეს. ჯერ ერთი, რომ ორ ვაგონში მისი შაქარი არ ჩაეიტა, გარდა ამისა რკინის გზის მოსამსახურეებმა ეჭვის თვალით შეხედეს ამ ნებართვას და რამდენიმე დღით, სანამ დარწმუნდებოდნენ, შეაჩერეს. რკინის გზის მსახურები თურმე ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ასეთ კონტრაგენტივოს, რადგან იგანიც დარწმუნებული ყოფილან რომ ბევრი ძალიან ბოროტად იყენებს შაქრის გაზიდვას ადერბეიჯანში. მაშადი-ალი ტაგიევსაც ასე მოექცნენ. მისი ნებართვის ქალღი ხელმოწერილი ყოფილა საბაშვილის მიერ. ბრძანება ქონიათ, ნებართვა უნდა მოწერილი იყოს ნიკოლაძის მიერო. როდესაც შეუტყვია ბ. საბაშვილს რომ მისი ნებართვით არ კმაყოფილდება სადგურის მოხელენი, საშინლათ აღელვებული თვითონ მისულა გამგესთან და ასეთი მუქარით-აიძულებდა, რომ ვაგონები ადერბეიჯანში გაეშვათ თანაც უთქვამო, თანაც უთქვამს, თუ არ შეასრულებთ ჩემს ბრძაოებას ყველას ციხეში ამოგაყოფინებთ თავსო.

შაქარი წაუღია აგრეთვე ვილაც ბეკ-შამხორსკის, ეს ბატონი ბეკ-შამხორსკი ძალიან მოქნილი ადამიანი ყოფილა. მას სადგურზე „სინამშთრამს“ რომ ვახლავს, ამის უფროსი დარაზველიძე. ჯერ ატუსაღებს, როგორც ბოროტ მომქმედს. მაგრამ სწორედ ამ დარაზველიძემ გაანთავისუფლა იგი და უბძანა რომ გაეშვათ ვაგონი ანერბეიჯანში, არის



ხელშეკრულება სამინისტროში, რომელზედაც შეიძლება დაწესდეს მხოლოდ ითქვას რომ ეს არის აშკარა, ფარული გაყიდვა შაქრის კომერსანტთა შერეულობა დადებულია ვინმე კომპანიისათვის. აქ ნათქვამია „თუ შენ 400 შ. შაქარზე და 20 შ. მარილზე გარანტიას შემოიტან — რამდენ ფუტს შაქარს გინდა მიიღებო. სხვა არაფერია ნათქვამი ამის შეტი. ვაჭარს დიდი სიამოვნებით შეიტანს 400 შ. შაქარზე და 20 მანეთს მარილზე, რადგან ადერბეიჯანში ფუთი შაქარი 1000 შ. ფასობს მარილი 120 შ.

ამავე დროს ვინმე ავალიშვილი ერთს ფუტს შაქარზე პირობას აძლევს მოუტანოს სამინისტროს 2 1/2 ფუთი ხორბალი. ნუ გავიწყდებათ რომ ადერბეიჯანში ხორბლის ფასი ძალიან დაბალია, თუ 1000 შ. ღირს შაქარი, ხორბალი ღირს 50—60 შ. საინტერესოა აგრეთვე ის ხელშეკრულება, რომელიც წაიკითხა ბ. მინისტრმა. ეს არის ხელშეკრულება „კომერსანტთან.“ მე უნდა განვაცხადო, რომ ის, რაც ბ. ლორდჯიფანდემ სთქვა ა. ხოშტარიას მოქმედების შესახებ სიმატლეს არ შეეფერება. საქმე რაშია? ბ. მინისტრმა ძალიან მათეთიურად განაცხადა, რომ ხოშტარიამ მოგვთხოვა რუსული ფულის გადახდა და „ლაქი-ო“ მე შევეცნობები, რომ ხოშტარიას ამ მოთხოვნას ბ. მინისტრი დასთანხმდა. ლაბარაკი კი გამოიწვია იმან, თუ რა ფორმით უნდა ყოფილიყო შეტანილი ეს „ლაქი“ ხელშეკრულებაში. მინისტრი წინადადებას აძლევდა ხოშტარიას „ლაქი“ შეტანილიყო ისე, როგორც ახლა განმარტებულია მე 7-ე მუხლში იმ ხელშეკრულებისა რომელიც დადებულია „კომერსანტთან“ ხოშტარია კი სთხოვდა, რომ „ლაქი“ ე. ი. იჩენი და უკრაინის ფულის ღირებულების განსხვავება უსათუოდ პირდა, პირ აშკარათ ყოფილიყო აღნიშნული ხელშეკრულებაში. ხოშტარიას თვითონ მინისტრმა გამოატოვებინა ეს ფორმა და სამაგიეროთ ნება დართო წარმოედგინა ხოშტარიას ისეთი ხარჯები, რომელშიაც შეტანილი იქნებოდა თვით ლაქაც. სწორედ ის მე 7-ე მუხლი თვითონ მინისტრმა შესთავაზა ხოშტარიას. ამ მუხლის ძალით „კომერსანტმა“ რომ მოიპოვოს ადვილათ შეუძლიან ერთ ფუტს ხორბალს დაადოს ხარჯები ესთქოდ 15—20 მანეთი. პირადათ მე აქ არაფერს ცოდოს არ ვხედავ, „ლაქი“ უსათუოდ უნდა მიეცეს თვით „კომერსანტსაც“.

ხელ შეკრულება არის დადებული 6 მილიონი ფუთ პურზე. რომ იანგარიშით ფუთი 20 შ. გამოვა, რომ ხელშეკრულება დადებულია 120 მილიონის მანეთზე. ე. ი. „კომერსანტმა“ უნდა შემოიტანოს 120 მილ. ღირებულება პური და ნება აქვს ამდენიმე ღირებულების საქონელი გაიტანოს საქართველოდან უკრაინაში. გარანტიათ კი იმისა, რომ პურს უსათუოდ მოიტანს „კომერსანტი“ მთავრობა სთხოვს კომერსანტს 250000 მანეთს. წარმოიდგინეთ, რომ კომერსანტმა გაიტანა 120 მილ. მანეთის საქონელი, იქ გაყიდა ეს საქონელი, პური კი არ შემოაქვს ე. ი. ხელშეკრულებას არღვევს. რას ჰკარავს კომერსანტი მაშინ. მხოლოდ 250000 შ. მე შეკითხვებით ეს არის რასპუბლიკის ინტერესების დაცვა? შეიძლება განა ისეთი ხელშეკრულება მთავრობამ ხელი მოაწეროს. მთავრობამ უპირატესობა პურის შემოტანაში „კომერსანტს“ მისცა. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ეს დაწესებულია იცნო უფრო ძლიერათ ვიდრე სხვა რომელიმე. თქვენ ალბათ ასე პეჭრობთ. ნამდვილათ კი „კომერსანტი“ მატერიალურად ისეთი სუსტი ყოფილა, რომ 250000 კი არ ჰქონია“ რომ ხაზინაში შეტანა. ამ ფულის მაგიერ სახელი დაუვირავებიათ. (ხმაურობა) თქვენ ვერ გაიგეთ რაწია საქმე?—250



ათ. მანეთში, რომელიც დაედო გარანტიით ეს ფული არ ჰქონდა ვაჭარს. ლიად. და კომერსანტმა სახლი დაუვირა. კონტრაგენტი, რომელიც 120 მილ. შ. პურის მოტიანის მფალოებას იღებს თავზე, 250,000 მან. კი არ მოეპოვა, რომ საწინდრათ შეიტანოს ხაზინაში. ერთი არის კიდევ მუხლი, თუ დახლევიების შემდეგ რამე დაიღუპა, მთავრობა თავის ჯიბიდან ამოეღეს 5% შოკების უნაზღაურება, კომერცია, მიუხედავად იმისა მიიღებს თვით თუ არა. საინტერესოა შევადაროთ თვით მოქიშპენი, ხოშტარიას კომპანია ყოფილა შემდეგი: შტრანკი, წვერი ცნობილ დრეიფუსის ფირმისა. მერმე ქავთარაძე. მასმასადამე ჩვენ გეტყვითა აქმე ვერ ერთი ცნობილ კომერსანტებთან და მეორე მცოდნე ხალხთან. შედარებით ამ კომპანიასან, კომერსანტის წვერები მატერიალურად და გამოცდილებით მეტის მეტად სუსტნი არიან. პირადათ ზოგიერთებს მათგანს მეც ვიცნობ, ისინი — საუკეთესო ყაწვილებიც არიან, პატეცსაკეშიც, მაგრამ მათ ქონება არა აქვთ. რომ მოხდეს ხელშეკრულობის დარღვევა მთავრობა მათ ვერაფერს ვერ გადაახდევინებს. (სხვა ვინ არიან)? ირეთელი, ყანჩელი, მალაღაშვილი, შაპავა. ეს კი, მართლაც პატეცსაკეში კომერსანტია... მახინაშვილი... საზოგადოთ კონტრაგენტები, როგორც პიროვნება მე სრულებით არ მაინტერესებს, არც ხოშტარია და არც კომერსანტის წვერები, აქ არაფერ შუაშია ჩემთვის უმთავრესად თვით ხელშეკრულებები საყურადღებოა, როგორც მთავრობის მოქმედება. მე არ მინდა ამ ხელშეკრულებაზე შევჩერდე, მგონია, რომ თვითონ ბ. მინისტრი ილაპარაკებს ამაზე (ლორთქიფანიძე „ღიან“) ეს დოკუმენტი, მე მოვიყვანე რომ დაინახოთ, თუ როგორ იცავს ან უზრუნველ ჰყოფს სამინისტრო რესპუბლიკის ინტერესებს ყოველგვარ შემთხვევიდან. იმ დოკუმენტში, რომელსაც ახლა წარმოგიდგინეთ, ნურას უკაცრავად, პირდაპირ სჩანს რომ სამინისტროში ადგილი ჰქონია ბოროტმოქმედებას. წინააღმდეგ ამ ხელშეკრულებას ბავშვიც კი არ მოაწერდა ხელს.

თქვენ გეტყვინებთ, რომ რუსეთის მთავრობას ძალიან ბევრი მოვალეები დარჩა. ესენი არიან პოდრიანიკები, რომლებსაც ვაჭაყდა რკინის გზები: მათ ხელში აქვთ ვერცთ წოდებული „ასიგნოვკები“ 1, 2, 3-10 მილიონისა. ეს პოდრიანიკები ყოველ საშუალებას ხმარობენ, რომ გაანაღდონ როგორმე ცალკე ასიგნოვკები. მე პირდაპირ ვიცი მაგალითი, როცა ნახევარ მილიონის ასიგნოვკაში 200,000 მან. აძლევდნენ, ოღონდ კი როგორმე გაანაღდონ. ის დოკუმენტი, რომელიც მე მაქვს, პირდაპირ განაღდება არის იმ ასიგნოვკისა, რომელსაც კონტრაგენტი იძლევა. აქ არის კონტრ აგენტი ვინმე ლავასოვი. მას მიუღია თავის თავზე ვალდებულება, რომ მოტიანოს საქართველოს რესპუბლიკაში 80 ვაგონი ჰური. ეს არაფერი. ის იმისთანა გაზედული კაციყოფილა, რომ იმას შესძლებია მოტიანოს „в течение двух месяцев 40 ვაგონი ჰური“ ორ თვის განმავლობაში, ოღონდ ერთი საქმე გამოიკეთოს სამინისტროში. ი რა საქმეგახლავთ. (კითხულობს) и Министерство обязывается реализовать ассигновки Лавасова. Какая сумма? უკაცრავათ რუსულათ ესთქვი, რამდენისაა ასიგნოვკა? ვიანგარიშოთ, რომ ლაბასოვმა 86 ვაგ. ჰური, უნდა მოტიანოს ორი თვის განმავლობაში, რადგან სხვაგან ასე მალე ვერ მოასწრობთ ყიდვას. საქართველოში კი ჰური ღირს 100 მანეთი ფული.

ესაღია ლავასოვს სჭირა 8 მილიონი მანეთი, ალბათ ასიგნოვკაც ამ



სუმიან, იქნება, რადგან ხომ უნდა ფულა რომ პური იყიდოს. ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ სამინისტრო უზურდავებს ამ ასიგნოვკებს. აძლევს მას ხელში ნაღდ ფულს და შემდეგ ლავასოვს მოაქვს პური. თქვენ იკითხავთ, ლავასოვმა, რომ ფულის მიღების შემდეგ პური არ მოიტანოს, მთავრობა რას გეპულობს, ან რამდენი აქვს. საინტერესოა მუხლი, დატოვებული საწინდარ ლავასოვისაგან. არ გაიკვიროთ. ლავასოვი ჰკარგავს მხოლოდ 5000 მანეთს. აი ეს მუხლი: „въ обезпеченіе договора министръ удерживаетъ изъ суммъ, подлежащихъ выдачѣ Лавасову послѣ реализаціи асигновки 5000 руб.

ლავასოვს რომ კერძო გადაებურდავებია ეს ასიგნოვკები, უეჭველია ერთი მილიონი მანეთი დაუჯდება. ახლა კი სამინისტროს საშუალებით მან 5000 მ. გადახურდავა. მეტი მოგება რაღათ უნდა. რასაკვირველია, ამ ხელშეკრულებას ისევე ასრულებდა ლაბასოვი, როგორც მე, ან თქვენ. ეს არაფერი. გარდა იმისა, რომ ლაბასოვმა ფული გაანაღდა, სამინისტრო მანც არ ეშვება და კიდევ უნდა იგი რითიმე დააჯილდოვოს და აი, აჯილდოვებს კიდევაც. არის შემდეგი მუხლი: **Министерство обязывается выдавать Лавасову 40 % русскими деньгами**“.

ამ დოკუმენტზე ხელი უწერია საბაშვილს და ლაბასოვს.

ბატონებო, ეს ხელშეკრულება არის ნამდვილი, ტიპური გადახურდავება იმ ასიგნოვკისა, რომელიც მოიტანა ლავასოვმა. მთავრობა, სამინისტრო, იღებს 8 მილ. ასიგნოვკის გადახურდავებაში 5000 მანეთს, მაშინ, როდესაც ეს ვაებატონები 30—50 % აძლევენ ხოლმე კერძო პირთ. ფაქტებს მე მოვრიჩ, გადავალ აქლა სასურსათო გეგმაზე. იმ გეგმას, რომელიც წარმოგვიდგინა ა. ლორთქიფანიძემ მე, რასაკვირველია არ ვიზარებ, ეს ისევე ის სამინისტროა, მხოლოდ სხვა სახელწოდებით. უეჭველია იქ მოხვდება ისწორედ ისეთი პირები, მხოლოდ სხვა სახით, რომელნიც ყოველად უვარგისნი გამოდგნენ ყოველგვარ საქმეში. მე მოხვოდა მინისტრი გეგმას მეც მზათა ვარ მოვახსენო.

ბატონებო! საქართველოში დღეს დღემობით მოქმედობს და მართლაც საქართველოს დამოუკიდებლობას ამტკიცებს მხოლოდ ერთ-ერთი კლასი, ეს არის მუშათა კლასი. იგი შეიარაღებული ებრძვის, როგორც გარეშე, ისე შინაურ შტერს. ამას მე არა სოციალისტი ვაცხადებ. მეორე კლასი—ჩვენი გლეხკაცობა გაბუტულია და არავითარ შონაწილეობას არ იღებს სახელმწიფოს აღმშენებაში. არის ჩვენში მესამე კლასი. თუმცა უკუდო, ბ. ირაკლი წერეთლის სიტყვით, მაგრამ უკეთესი მკოდნე სასურსათო საქმისა, ვიდრე ყველა ის წარმომადგენელი. რომელნიც მოიკლათებენ სასურსათო საბჭოში. მე ვფიქრობ, რომ ვაჭარ-მრეწველებმა აუცილებლათ რაიმე მოვალეობა უნდა იდონ თავიანთ თავზე: ბატონებო, არც ერთი ვაჭარი არასოდეს არ მოგიწერთ ხელს ყველა იმ ხელშეკრულებაზე, რაც მე აქ წავიკითხეთ, ვაჭარ-მრეწველებს უსათუოდ უნდა დააკიროს მთავრობამ, ვალდებული გაბადოს იგინი მიიღონ თავიანთ თავზე ამ საკითხის მოკვარება. ასეთ გარემოებაში ჩაყენებული ვაჭარი ვეღარ ისპეკულიანტებს, რადგან ერთი მეორეს უეჭველია, როგორც პასუხისმგებელი კონტრაქტის გაუწევს და ხელს შეუშლის. ყოველივე ვაჭარი თავის სახლში მეტად დარაჯობს თავისივე წრეში. მე ვამბობ სასურსათო საქმის მოგვარება უსათუოდ უნდა იქნას მესამე კლასმა, იგი უნდა იყოს პასუხისმგებელი



ამ საქმეში, მთელი თავისი ცოდნით ამ საქმეს უნდა გაუძღვებოდნენ. შექმნას მინ ერთ ორგანო და მიიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე. მთავრობამ უნდა იყოლიოს ამ ორგანოში თავის წარმომადგენლები და თვალყური ადევნოს მათ მუშაობას. მე დარწმუნებული ვარ უკეთესად ვერც ერთი პარტია, თუ პიროვნება ვერ მოაწესრიგებს სასურსათო საქმეს. ასეთ გამოცდილს ხალხს, როგორც ვაქრები არიან არაფერი წაუვიათ ხელიდან, მათ ვერაფერს მოატყუებთ. მათ ყველაფერი იციან, რა ხდება (ხმა მარცხნივ „ეგ მართალია“). აი ამიტომ ვამბობ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ სხვანაირად უყურებთ ამ ვაქრებს, მე ვგონია, როცა ისინი სახელმწიფოს მიერ მოწვეულნი იქნებიან, ისინი ამას ანგარიშს გაუწევენ და როცა სახელმწიფო ამათ ამ მოვალეობას დააკისრებს იგი უსათუოდ ამ საქმეს პირნათლად აასრულებენ. მე აუსრულოვ ჩემი დაპირება ბ. მინისტრს. მოვიყვანეთ ფაქტები და გავაცანი ჩემი გეგმა, ახლა თქვენი ვალია დააფასოთ როგორც ერთი, ისე მეორე.

(თავმჯდომარის ალაგს იჭერს ეჭვთამე თაყაშვილი.)

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის გზათა მინისტრს.

უკანა მინისტრა ავანე ლორთქიფანიძე (ს. რ.) ბატონებო! ორიოდ სიტყვა ვაბედულობაზე. ამ საკითხზე ჩვენ ვაბედულოდ გამოვდივართ. კერძოდ მე, უნდა მოგახსენოთ, არც ეხლა და არც წარსულში არავითარი მოქმედება არ მიმიძღვის, რომ ვერ გამოვიდგე და ვაბედულოდ არ ვილაპარაკო ამ კათედრიდან იმ საკითხზე, რაც ჩემის აზრით არის მართალი. ამ მხრივ ლაპარაკი, ამის შესახებ ბ. ახმეტელისა ზედმეტია იმიტომ რომ ჩვენ შორის გამოდის თითქო რაღაც შეთნხმება მოხდა. თქვენ უნდა გეთქვათ, მე როგორც კერძო ნაცნობი ყური უნდა დამეგდო და ამით უნდა ვათავებულებო საქმე. როდესაც მე, როგორც კერძო ნაცნობი გკითხვთ, თუ რის შესახებ გსურთ ლაპარაკი, თქვენ მითხარით რომ მე თქვენი პოლიტიკისა და თქვენი მუშაობის წინააღმდეგ არაფერი მაქვს, მე მინდოდა მხოლოდ, დრადგანაც მდგომარეობა მეტად განწყევებულია ბოლო მომეღო ამისათვის და მთავრობისათვის მიმიეც საშუალება რომ ერთგვარ დეკლარაციით გამოვიდეს ხალხის წინაშე. მე ვამბობ, რომ ბატონმა ახმეტელმა ასე სთქვა. (ასმეტელა — „მართალია“) აი სწორედ ასე ისმებოდა საკითხი. მე ერთ რამეზე მიუთითებ, როდესაც ბატონი ახმეტელი გამოდის და თავის სიტყვაში ამტკიცებს რომ ყორდანის მგავრობამ, ვერავითარი სარგებლობა ვერ მოიტანა თავის სასურსათო პოლიტიკით — მართალია, შეიძლება სხვა სასურსათო პოლიტიკა ვატარებულყო. მე ვამბობ, რომ ასეთ შეკითხვის ავტორმა წარმოადგინოს თავის პროექტი: ეხლა, როდესაც თქვენი სიტყვა ვათავებთ, როგორც მე ისე აქ საბჭოს წევრებს ნათლად აქვთ წარმოდგენილი თუ რითი იყო ნაკარნახევი თქვენი შეკითხვა. ეს ერთი. მეორე — ისეთი შთაბეჭდილება უნდა დავტოვებინა ახმეტელის სიტყვას, რომ ვინც არ არის გაცნობილი ამ საკითხს, იფიქრებს, რომ საშინელი პანაში მოხდა. სასურსათო სამინისტროში და მთავრობა ისე ცუდად უძღვება საქმეს, რომ ან არაფერი არ იცის, ან იცის და ხელს აფარებს. არ ვიცი რა ესთქვა ასეთ მოქმედებაზე რომ არ შეურაცხვეყოთ თქვენ ბატონო ახმეტელო... (ასმეტელა — „სჯობს ნუ იტყვიან“) არ ვიცი როგორ ესთქვა. რიგიანი არ არის მაინც. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, და მთავრობის თავმჯდომარემ ფაქტებით და საბუთებით დავიმტკიცათ.



რომ, როდესაც ჩვენს ყურამდის მიადწევს, რომ ამა თუ იმ მომენტში
 რა პოსტისაც უნდა იყოს ის, ჩაიდინა ბოროტ მოქმედება უნდა იყოს
 ნაშაულო, სათანადო სამინისტრო რევიზიას ნიშნავს და ვაძლევთ სასა-
 მართლოში. შესაძლებელია ასე, რომ არ ყოფილიყო მაშინ იქნებოდა
 მართალი რომ პანამა გვაქვს და იმას ხელს ვაფარებთ, მაგრამ რაც
 თქვენ წაიკითხეთ აქამდის, თქვენ არ იცით, რომ თქვენი სიტყვის და-
 სკვნა არის დასკვნა, იმ წინასწარ რევიზიას? ვანა თქვენ არ იცით რომ
 სწორედ საგანგებო რევიზია არის დანიშნული და მთავრობა მიიღებს
 ზომებს, რომ იმ ხელშეკრულებაზე რომელიც არ შეეფერებოდა სახელ-
 შეიფოებრივ ინტერესებს, ის პირნი უნდა გადაყენებულ იქნენ და სა-
 სამართლომ უნდა გამოარკვიოს, ბოროტ მოქმედებისა, თუ საქმის უკო-
 დინარობის გამო ჩაიდინეს. ეს საქმე? თქვენ კარგად იცით ეს, მშვე-
 ნიერად, მაგრამ დინჯად და რიხით ბრძანებთ, რომ შე გაბედულება არ
 უნდა მქონდეს. რატომ, ბატონო ახმეტელა? აი ეს ერთი მხარე ამ
 საკითხისა.

შე ვფიქრობ, რომ რა დანაშაულიც უნდა ჩაიდინოს მოხელემ, ფაქ-
 ტიურა სინამდვილით უნდა იყოს აღნიშნული. მე ვამტკიცებ, რომ ასე
 არ მოიქცა ბატონი ახმეტელი ჩეკების შესახებ. ბატონმა ახმეტელმა,
 რომელიც ასე თუ ისე ყველაზე დიდად დაინტერესებულია ამ საკითხში,
 კარგად იცის, რომ მთავარი მიზეზი მინისტრის ამხანაგის გადაყენებისა
 იყო ლავასოვთან დადებული ხელშეკრულება. როდესაც მთავრობამ და
 მინისტრმა გაიკნო ეს ხელშეკრულება, იგი შეჩერებული იყო და დაი-
 ნიშნა რევიზია, თუ რატომ იყო იგი შეკრული და რა პირობებში და-
 იღვა, მაგრამ ფაქტიური მხარე ამ საქმისა მაინც არ არის მართალი. არ
 არის მართალი, რომ აქ ჩეკები 4 მილიონ ნახევრის იყო, ფაქტიურად
 თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რაკი იცით საქმე. 72 ათას მანეთიდან
 ბატონმა ლავასოვმა მიიღო 5 ათასი მანეთი. 35,000 მანეთის ჩეკი ეხლა
 დატოვებულია სამინისტროში, როგორც ფული, და თუ აასრულებს
 პირობას თუ შემოიტანს ამის ღირებულებას იგი ამ ჩეკებს უკან გაი-
 თანს. მართალია მოხდა უკანონო მოქმედება, იმითი რომ ჩეკები იყო
 დახურულადებული (ახმეტელი —, არ სწერია?) არ სწერია? ბატონმა ახმე-
 ტელმა აღბად კარგად იცის თუ რა ღირს ამ ჩეკების დახურულება. მე
 ეს არ ვიცი სრულებით, მაგრამ სამინისტრომ მიიღო ზომები და ფაქ-
 ტიურად არავითარი ზალალი არ მიუღია. მხოლოდ მთელ ხელშეკრუ-
 ლების შორის ამოიჩინა ერთად ერთი ხელშეკრულება ქუთაისის უკრა-
 ინის „გრამადას“, მერე რა მოხდა? რა დანაშაული ჩაიდინთ მთავრობამ?

(ახმეტელი —, მაგას კიდევ ამართლებთ?) დიახ! მე ვამართლებ და იყო
 ისეთი მდგომარეობა, როცა მოდიოდნენ და გვეუბნებოდნენ მოგვეცით
 უფლება პურის შემოტანისაო ჩვენ ეს უფლება უნდა მიგვეცა, რადგან ვი-
 ცოდით — ისეთი პირობები იყო, რომ საჯარო ვაჭრობის გამოცხადება
 არ შეგვეძლო. ეს იყო მაშინ, როდესაც მოდიოდა აუარებელი ტელე-
 გრამები ლიხაურიდან, გურიიდან გვითვლიდნენ გვიშველეთ, მოგვხედეთ, სი-
 მშილით ვიზოცებითო. მართლაც ხალხი სიმშილით იხოცებოდა. შეიძლება
 საზარალოა ჩვენთვის ზოგიერთი ასეთი ხელშეკრულება, მაგრამ უკრაინის
 „გრამადასთან“ დადებული ხელშეკრულება საზიანო არ არის. უკრაინის
 „გრამადა“ საზოგადო დაწესებულება იყო. უკრაინის კომისარმა სთქვა
 შე მივლიეთ უკრაინაში და თქვენ პურს მოგიტანთ. ჩვენ დავეწერეთ
 ხელშეკრულება და გადავეცით მას. (ახმეტელი „ვინ დასწერა?“) ვინ წე-



რა? სამინისტროს წარმომადგენელთა (ახმეტელი—ხელი ვინ, ქუჩა ვინ, რა?) მე არ ვიცი, არ მახსოვს, თუ ვის უწერია ხელი. აქ ხელმოწერა—
 ლი—„უნდა იცოდეთ“) აქ ბატონმა ახმეტელმა დიდის რიხით განაცხა-
 და, რომ 30 ვაგონი იქნა გატანილი ადერბეიჯანში. თუ იცით ეს
 ფაქტი, რომ 30 ვაგონი შაქარი იქნა გატანილი, ამის შესახებ უნდა
 სთქვათ რამე. მე ამის შესახებ არაფერი ვიცი. ის ფაქტი, რომელიც
 დაასახლეთ თუ გნებავთ, რომ ვაივით, ვაივით, შაგრამ თუ გამოიწ-
 გარიშეთ—სამჯერ ორი იქნება ექვსი და 30-ს თუ მარტო იმიტომ ამ-
 ბობთ, რომ სტენოგრაფიაში ჩაჯარდეს ეს რიცხვი, იმიტომ რომ ხალხს
 უჩვენოთ—თ ასეთი ბოროტობა კმდება ჩაიდინა სამინისტრომ—ამის
 თქმა, ბატონო საქმარისი არ არის. თქვენ შეგებთ პირველ ხელშეკრუ-
 ლებს ტაგიევთან. აქ უარ სთქვით მართალი. თქვენ სთქვით 2 ვაგონი
 შაქარი ერთ ვაგონ ხორბალზედო. ეს არ არის მართალი, ხელშეკრუ-
 ლებაში ნათლად სწერია: 2 ვაგონი შაქარი 2 ვაგონ პურზე და 120 ათას
 ფული. (ხმა „როდის?“) ამ ხელშეკრულებაში სწერია, როდესაც ასეთი
 ხელშეკრულება დადო სამინისტრომ, ერთმა წარმომადგენელმა ამის შე-
 სახებ განაცხადება შემოიტანა, რომ ეს დადგინა გაცვლა გამოცვლის
 კომიტეტმა *дольшинствомъ голосовъ условно...* ამის შემდეგ, როდესაც
 ამ მოხელეებმა მოახსენეს მთავრობის თავმჯდომარეს მაშინ მე არ გახლ-
 დით თბილისში და მთავრობის თავმჯდომარემ, ეს ხელშეკრულება შეაგ-
 რა. მას შემდეგ რაც ადერბეიჯანის დიპლომატურა წარმომადგენელი,
 საქმეში ჩაერთა მთავრობამ გამოიტანა დადგენილება, რომ ეს ხელშეკრუ-
 ლება სისრულეში ყოფილიყო მოყვანილი.

ამას გარდა, როცა მოლაპარაკება იყო ტაგიევთან 30 ათასი მან-
 ეთი (ხმა,—ძალიან ბევრი არ მოუმატნია!)

მეორე ხელშეკრულება ბატონ მაშინაიშვილის ხელშეკრულებაა.
 აქ ბატონმა ახმეტელმა გაიშეორა ის, რაც ამას წინათ ეწერა „სო-
 ციალ დემოკრატ“-ში, რომ ხელშეკრულება საზარალი არისო და სხვა
 ამისთანა. უნდა მოგახსენოთ, რომ როდესაც ფასებს გვიკვირებთ. აღ-
 ბად თქვენ ბაზარს არ იცნობთ. საიდანა გაქვთ ასეთი უტყუარი ცნო-
 ბები, რომ ფული შაქარი 900 მანეთი ღირს ადერბეიჯანში! მე ასეთი
 ცნობები არა მაქვს (ახმეტელი—, თქვენ არა გაქვთ ხმა — „მართალია“!)
 თავმჯდომარე. ვთხოვთ სიჩუმე დავცვათ.

თუ თქვენ უკეთ ხართ გაცნობილი ამ საკითხში, მე არ ვიცი რა-
 თია გამოწვეული ეს. როდესაც ეს გაცვლა-გამოცვლა სწარმოებდა ფუ-
 თი შაქარი ღირდა 400—500 მან. ეს არის ჩვენი ცნობა. თუ თქვენ
 სხვა საიდანმე ცნობა გაქვთ—ბრძანეთ, საიდან გაქვთ ეს ცნობა (ხმა-
 ურობა).

თავმჯდომარე. კიდევ ვთხოვთ ადგილიდან წუ ლაპარაკობთ.

თი სწორედ ივლისში, როდესაც დიდი მოთხოვნილება იყო ჯარი-
 სა და ქალაქის მცხოვრებთა მხრივ და ქალაქში ხორცი მეტად ძვირად
 ღირდა. შემოვიდა წინადადება მაშინაიშვილისა, რომ შემოიყვანს ათას
 სულს საქონელს. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ საქონლის შემოყვანა
 ადერბეიჯანიდან აკრძალული იყო; მაშინაიშვილმა ეს მოახერხა და
 ჩვენ თითქმის ერთი თვის განმავლობაში მოგვეცა საშუალება, რომ
 ჩვენ ჯარს ჰქონოდა ხორცი.

მან მოიყვანა ათასი სული საქონელი და ჩავვაბარა. მაშინ მიიღო შა-
 ქარი (რ. გაბაშვილი—„კონტრაბანდათ“) შეიძლება კონტრაბანდათ მი-



ილო ეს ჩვენ არ ვიცით, ისიც უნდა იცოდეთ, ბატონო, რომ ბევრი ვაჭარი ჩემოიტანს ისეთ საქონელს, რომელიც ქვეყნებიდან, როგორც არის აღერბიჯანი. (გაბაშვილი — „მაგრამ არა თქვენი დავალებით“) იმ ხელშეკრულებაში არა სწერია, რომ კონტრაბანდით უნდა შემოიტანოს. სამინისტროს არ დაუვალვია.

რაც შეეხება იმ ხელშეკრულებას, რომელიც დასდო ქუთაისის სასურსათო კომიტეტმა ბატონ ნარსიასთან, რომელსაც უნდა გაეტანა 2 ვაგონი შაქარი აღერბიჯანში და შემოეტანა 2 ვაგონი პური. აქ შეიძლება ავიღოთ იმის მაგალითად თუ რა გამოვა ახმეტელის გემიდან, რომელიც გვიჩვენებს, რომ პურის შემოტანა უნდა მივანდოთ ქართველ ვაჭრებს — შესაძებ კლასსო, როგორც ბატონ ახმეტელმა უწოდა — აი ქუთაისის სასურსათო კომიტეტმა დასდო ხელშეკრულება ბატონ ნარსიასთან (პ. ქავთარაძე — „მამასთან თუ შვილთან“) არ ვიცი. (პეტრე ქავთარაძე უნდა იცოდეთ).

თავმჯდომარე. ვთხოვთ სიწყნარე დაიცვათ.

არ ვიცი, რა შუაშია მამასთან თუ შვილთან არის დადებული ხელშეკრულება. ჩვენ ვიცით რომ ეს ერთი სავაჭრო სახლია. შეიძლება ბატონ პეტრე ქავთარაძემ იცოდეს თუ რა განსხვავებაა მამასა და შვილში, მაგრამ მე არ ვიცი. (ვეშაპელი — „მამა ნახეთ დედა ნახეთ შვილი ისე გამოიხატეთ“) სწორედ ამ სასურსათო კომიტეტმა დადო ხელშეკრულება ამ ნარსიასთან (ხმა — „როდის“) დიდი ხანია და ჯერაც პური არ შემოუტანია. სასურსათო კომიტეტმა გააუქმა ეს ხელშეკრულება. როდესაც ჩვენ ეს გავივით, ნარსიას პასუხი მოვსთხოვეთ. მან განაცხადა, რომ შაქარი სადგურ ფოილოზე წაპართვეს, დავიღუპე და ეხლა არვიცი რა უყოთ. ცოტახნის შემდეგ შემოვიდა დამატებითი წინადადება ბატონი ნარსია, რომელშიაც თხოულობდა პურის შემოტანის ვადა გაგვეძლეინა. ჩვენ მოვსთხოვეთ, რომ მას საწინდარო დეტოვებინა, რადგანაც ჩვენ გვქონდა კერძო ცნობები არა ოფიციალური ცნობები რომ ბატონ ნარსიას არ ჰქონდა შაქარი წართმეული და აღერბიჯანში გაეყიდნა იმის მაგივრად, რომ ბატონი ნარსია მოსულიყო და არსებითად გავცა პასუხი იგი წაეიდა ხაზინაში და ბატონ ფინანსთა მინისტრის სახელზე შეიტანა 100-ათასი მანეთი. ის იყო ბრძანება გავეცი მისი დატუსაღებისა დღეს სამინისტროში რომ შევედი ერთმა კაცმა რომელიც მომხედა, მითხრა რომ ეს არის ნარსიაო. მე მივიწვიე კაბინეტში და ვკითხე რაში იყო საქმე. მან შემატყობინა, რომ შაქარი გაეყიდეო. მე დავატყვევე და ყველა ეს ცნობები გავგზავნე პროკურორთან.

აი ამ ხელშეკრულებათა შორის დაინახავთ კობახიძის და ავალი-შვილის ხელშეკრულებასაც. რადგან ასე კარგათ ხართ ხელშეკრულებებთან გაცნობილი უნდა იცოდეთ, რომ გაცვლა უნდა ყოფილიყო როდესაც პურს მოიტანდენ, მაგრამ რადგანაც მათ პური არ მოიტანეს და ვადა კი გავიდა — ხელშეკრულება დაირღვა. საერთოდ აი ფაქტიურ მხარე. გარდა ამ ხელშეკრულებისა, რომელიც დადებულია ჩვენსა და აღერბიჯანის მთავრობის შორის, რომლის ძალითაც ჩვენ უნდა მივცეთ მათ 30 ვაგონი შაქარი და მათ უნდა მოგვცენ პური — ამის გარდა, უნდა მოვახსენოთ, რომ ჩვენი საზღვრებიდან არავითარი შაქარი არ გასულა. არ გასულა ისე, რომ ჩვენ ვიცოდეთ და თუ გადის, ბატონო ახმეტელო, დამალულად ტივით, ან რკინის გზაზე, ან სხვა საშუალებით.



ბით, თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენ ამის წინააღმდეგ სასტიკი ღონისძიებები ვიღებთ.

ფაქტიურად ის ცნობები, რომლებიც თქვენ მოახსენეთ, საბჭოს, ეს ცნობები ყალბია. ეს რომ მართლა ადგილი რომ ყოფილიყო — ყველა მოიციანდა შაქრის მაგიერ პურს. მაგრამ მაშინაი შვილის, რომელმაც მოიყვანა ათასი სული საქონელი, და ტაგიფვას გარდა არავის არ წაუღია შაქარი (ვე შეპვლი — „მაშ მაშინაოვმა რალა წაიღო?“ ახმეტელი — „ბებე შამხორსკიმე“)

(თავმჯდომარე. კიდევ გთხოვთ, ბატონებო, რომ ადგილიდან ნუ იღობარაკებთ).

ეხლა უნდა მოგახსენოთ, „კომერსანტთან“ დადებულ ხელშეკრულებაზე. ყველა მისი პუნქტი იყო შემუშავებული, როდესაც ჩვენ ხოშტარიასთან ხელშეკრულებას ვიმუშავებდით. ეს ხელშეკრულება იყო განხილული, როგორც იურისტების მიერ, ისე მთავრობის მიერ და მთავრობამ სამინისტროს მიანდო, რომ ამ ხელშეკრულებისათვის ხელი მოეწერა სამინისტროს. ამ ხელშეკრულებაზე უწყობია არა მარტო სასურსათო მინისტრს, არამედ კიდევ ორ მინისტრს. ეს თქვენ კარგად იცით, ამის გარდა თქვენ ბრძანებთ, რომ ჩვენ უეჭველათ უნდა დაგვედო ხოშტარიასთან ხელშეკრულება. თქვენ ბრძანებთ, რომ მინისტრმა გამოაცხადა აკაკი ხოშტარიას მიერ წამოყენებულ პირობებში სიმაჩილეს არ შეეფერება. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ ეს ხელშეკრულება არ უნდა დაგვედო (ხმა „ორიგინალურია“) თქვენ ბრძანებთ, რომ ამ ჯგუფში ხოშტარიასთან, ერთად იყო ცნობილი თეიფუსის ფირმის წარმომადგენელი შტარანკი. ჩვენ ვიცით, თუ რა ცნობილიც არის შტარანკი: იგი სპეკულიაციისთვის რამდენჯერმე იყო დატუსაღებული ძველი მთავრობის მიერ. — ჩვენში თვით ღრეფუსი არ არის ცნობილი და თქვენ თუ სთქვით რომ შტარანკი ცნობილი არის, ეს ალბად იმიტომ, რომ გინდოდათ ისე გამოგვეყვანათ რომ ვითომაც „კომერსანტის“ მოწინააღმდეგე ჯგუფში, საქმის მკოდნე ხალხი შედის ხოლო, მახანოვი და მ. ლალაშვილი, რომლებიც კომერსანტში შედიან — არიან ბალღები. თქვენ მოგეხსენებათ, რომ იმ განცხადებაში, რომელიც შემოიტანა ხოშტარია ამ არაფერია ნათქვამი არც შტარანკის და არც ღრეფუსის შესახებ მხოლოდ მოგახსენეთ, რომ შტარანკმა ცალკე განცხადება შემოიტანა, ვითომაც შეტოქე იყო. ნამდვილად კი მე კერძო ცნობები მაქვს. რომ შტარანკი და ხოშტარია არ იყვნენ მოწინააღმდეგენი, არამედ იყვნენ მოკავშირენი, რომელნიც სხვა და სხვა გზით მოდიოდნენ ერთ და იგივე მიზნისაკენ.

შემდეგ თქვენ ბრძანებთ, რომ ამ ხელშეკრულებით თქვენ არც ფული მიიღეთ და არ რაღაც სახლი. თქვენ რომ წაიკითხოთ მუხლი ნახავთ: (კითხულობს).

17. Залогъ можетъ быть возвращенъ контр-амъ при неисполненіи ими договора лишь въ томъ случаѣ, если правительствомъ будетъ найдено, что создавшіеся условія дѣйствительно не дали возможности контр-амъ выполнить поставку (напр. невозможности полученія тоннажа и проч.).

მე უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ხელშეკრულება ამ სახით იღებოდა



სწორედ იმ ძლიერ ჯგუფთან, რამდენიმე დიდი მოტრეილერი
 დებით თქვენ. მე უნდა მოგახსენოთ, რომ არ არის მართალი რაც
 თქვენ განაცხადეთ, თითქოს მათ ეს ფული არ შემოიტანა. ჩვენ გვაქვს
 წერილი, რომ ფული იმყოფება ვოლესკო-კამსკის ბანკში. წერილი ხელ-
 მოწერილია ბანკის დირექტორის მაშმანოვის და ბუჰალტერის მიერ.
 მაგრამ რადგანაც ის რუსული ფულია და რუსული ფული მათ სჭირიათ,
 მათ შემოიტანეს განცხადება, რომ 25 ათასი მანეთის მაგიერ მიიღეთ
 ქუთაისში საწინდარ სახლი, ჩვენ ეხლა ცნობა მოგვივიდა, რომ ეს
 სახლი ჩვენ მივიღეთ (გ. ვეშაპელი „სომხის სახლია თუ ებრაელის“)?
 არც სომხისა და არც ებრაელის, არც ერთისა და არც მეორის—ჩი-
 კოვანის სახლია: ან რა დიდი კავშირი და საბუთია ის თუ ვისი სახლია.
 ეს ერთი. მეორე კიდევ ის, რომ უნდა მოგახსენოთ, არც ერთ ჩვენ
 კონტრაგენტს, რომელთანაც ჩვენ მოლაპარაკება გვქონდა პურის შე-
 სახებზე არ შემოუტანიათ ამდენი საწინდარი. მე თქვენ მოგახსენებთ, რომ
 თუ ასე მოვაწერეთ ხელი იმ ხელშეკრულებას, რომელიც გამზადებული
 იყო, იმ სწორედ ასე, როგორც ეს არის და უნდა მოგვეწერა იმ შეკ-
 რულებაზე, იმ სახით, როგორც იყო, მაგრამ არ მოვაწერეთ ხელი.
 მხოლოდ მის შემდეგ, რაც ბატონმა ხოშტარიაშვილმა შემოიტანა დამატებითი
 განცხადება შენიშვნის სახით, რომ ჩვენ იმას უნდა მივცეთ „ლაფი“—
 ჩვენ მაშინ ასე გადაწყვიტეთ ერთ ხმათ. აქ იყვნენ სხვა მინისტრები
 და ფინანსთა მინისტრის ამხანაგი, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ამის
 ასრულება ყოველად შეუძლებელია. რატომ მიჩნია ბატონ ახმეტელს
 რომ ჩვენ უსათუოდ ასე ვგვონია. ალბად იმიტომ, რომ ის ფიქრობს
 — ეს შეზღიდე მუხლი არის დაფარული „ლაფი“, მაგრამ ამ დაფარულ
 „ლაფის“ გარდა ბატონი აქაი ხოშტარიაშვილს მითხოვდა, რომ
 ცალკე შენიშვნის სახით აღგვენიშნა „ლაფის“ მიცემა. რაშია ჩემი გა-
 ბედულება? ბატონმა ახმეტელმა აქაც ვერ გამოიჩინა სიღინჯე
 ალბად აღელვებული იყო. აქ სწერია (კითხულობს მკ-მ მუხლს) 8.
 За закупленные контрагентами продукты правительство уплачивает
 им, контр-амъ ихъ полную себѣ стоимость съ начисленіемъ комиссіон-
 ныхъ 5 проц. на эту стоимость. თქვენ ამბობთ, როგორ შეიძლება რომ
 თქვენ მაშმანოვს მინდეთ ხარჯების წარმოადგენა. შეიძლება მე დავ-
 ხარჯო 5 მანეთი და 20 მანეთი უნდა მეტი წარმოვადგინეოო. ესეც
 ერთგვარი „ლაფი იქნებაო“ ეს არ არის მართალი. ჩვენი წარმომადგე-
 ნელი მათთან დასდევს. იგი თვალყურს ადევნებს და ერთგვარ ფიქსაციას
 უშვება ბაზრის ფასებს. თქვენ რომ ბრძანეთ, შეიძლება მოხდეს ერთ-
 გვარი ბოროტ-მოქმედება-მოგახსენებთ, რომ სხვა გზა, სხვა გამოსავალი
 ამ გზის გარდა არ შეიძლებოდა. თქვენ, რომ ღამბაარაკობთ, ვითომც
 ერთ მოიჯარადრესთან ჩვენ განსაკუთრებული მუხლი დაგვეწეროს, გან-
 საკუთრებული პირობები—ეს არ არის მართალი, ეს ტყუილია. ჩვენ შე-
 მუშავებული გვქონდა ნორმალური პირობები და რომელი კონტრაგენ-
 ტიც არ უნდა მოსულიყო, მთავრობა სცნობდა და მოაწერდა ხელს.
 მაგრამ როდესაც ბატონმა ხოშტარიაშვილმა ასეთი წინადადება
 შემოიტანა—ჩვენ ამას უწყვედით ანგარიშს. ხოშტარიაშვილი მართო იყო.
 შტარნი იყო ცალკე, მხოლოდ ამათ გარდა იყვნენ ის პირები რომელ-
 თანაც ჩვენ დავდეთ ხელშეკრულება. პირობები იყო ჩამოთვლილი და
 ამ პირობებზე დასთანხმდნენ, მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ დიდი კაპიტა-
 ლისტები არ არიან არც მაშმანოვი, არც მალალაშვილი, არც ჩიკოვანი და



არც პაპავა, მაგრამ ჩვენ ვიყოფით ოფიციალური მდგომარეობა მაშინ-
 ნოვისა, რომ იგი არის ბანკის დირექტორი და ამ ბანკს შემოიქმედებენ
 ფილიება აქვს ისეთ ადგილებში სადაც პურს იღებენ. უტყუარი წერი-
 ლობითი ცნობები და ფაქტები გვაქვს, რომ ამ ბანკის განყოფილებანი
 აწარმოებენ პურის ოპერაციას. რადგან სხვა ხელშეკრულება არა
 გქონდა დადებული და სხვა კონტრაგენტი არა გვაყავდა—ეს ფაქტე-
 ბი ხაქმარისი იყო, რომ ჩელი მოგვეწერა.

აქ ლაპარაკი იყო, მეექვსე მუხლის შესახებ, რომ თუ დაილება პუ-
 რი, მთავრობამ უნდა მისცეს კონტრაგენტს პური და თვით კი არ
 იღებს „страховую премию“ ეს არ არის მართალი, აქ ეწერა. (კითხუ-
 ლობს) 6. — Страхование от огня, авария или морского и военного
 риска и народных волн под производится контр-ами на имя прави-
 тельства в суммъ стоимости груза плюсъ 30% отъ ранко Поти.

Въ случаѣ гибели груза, правительство получаетъ страховую пре-
 мию непосредственно отъ страхового о-ва, контрагентамъ неотлагательно
 выдаетъ стоимость погибшаго груза плюсъ 5% а остальное обра-
 щаетъ въ пользу казны. მე ვამბობ, რომ ასეთი გამოსვლა, ასეთა
 საბუთები არ შეეფერება ჩვენს ეროვნულ საბჭოს. (ვეშაბელი—
 „რა გაიტანეს საზღვარ ბარედ“) ეხლა იმის შესახებ, თუ რა გაიტანეს საზ-
 ლვარ გარედ. თუშკა ამ პირობების ძალით ჩვენ უნდა მიგვეცა ჩვენი
 საწყობებიდან ღვინო და სხვა, მაგრამ არაფერი არ მიგვეცა. ჩვენ გვაქვს
 ცნობა იმ ნებართვიდან, რომელიც მისცა 27 მარიაპოლისთვის გაცვლა,
 გამოცვლის კომიტეტმა, ამ ნებართვით მათ უნდა გაეტანათ არვიცი
 რამდენიმე ათასი პოთლი ღვინო, 15—20 ათასი კონიაკი და 2 ათასი
 ფუთი თამბაქო. აი რა ოფიციალური ცნობები გვაქვს იმის შესახებ
 თუ რა გაიტანეს. (მაჩაბელი „რა შემოიტანეს“) მე მოგახსენებ წარ-
 სულ კრებაზე ბატონო მიხეილ, რომ ჯერჯერობით არაფერი შემოუ-
 ტანიათ, არც ერთი ვირვანქა პური, აქედან ბატონებო, ნათლად ხე-
 დეთ რომ ერთი მხრივ ფაქტიურად ის ხელშეკრულებანი, რომელიც
 დადებული იყო მთავრობის მიერ, სამინისტროს მიერ—ნაწილი სრულ-
 დება, ხოლო ნაწილი, რომელშიაც იყო რომ უკანონოა გადასიჯულია
 მთავრობის მიერ და შეჩერებული. და თუკი ამ ხელშეკრულების დროს
 იყო რაიმე ბოროტობაქმედება, — მთავრობის მიერ უკვე მიღებულია ზო-
 მები. (ეშაბელი— დარღვეულია ხელშეკრულება თუ არა“. მაჩაბელი.
 ვადა ვაუვიდა თუ არა) წარსულ კრებაზე მოგახსენებ, რომ ოფიცია-
 ლური ვადა გასულია, მაგრამ, რადგან მათ არ მიეცათ საშუალება
 ადრე გასულიყვნენ, გემი არ მისცეს, საქონელი ვერ გაამზადეს— ისინი
 გავიდნენ შოლოდ 27 მარიაპოლისთვის და ეხლა თხოულობენ 2 კვი-
 რით ვადის გაგრძელებას, 15 ენკენისთვიდან. ამის შესახებ მთავრო-
 ბასთან მაქვს მოსახსენებელი და მთავრობა თუ დაადასტურებს, ალბათ
 ვადა გაგრძელებული იქნება. რაც შეეხება გეგმას, არ ვიცი არის თუ
 არა საჭირო რომ მე გეგმაზე შევჩერდე? ჩვენ ამას წინაღ ამ კლასის
 წინააღმდეგ მივიღეთ სპეციალური კანონი, რომ ისინი ჩაეაყენოთ ერთ-
 გვარ ფარგლებში. მათ მაინც და მაინც არ აქვთ ისეთი დიდი სიყვარ-
 ული სამშობლოსი, რომ მართო სახელმწიფოებრივ თვალნაზრისით
 შეხედონ სჭქმეს და საქონელი ხელმისაწვდომ ფასებში მიაწოდონ მცხო-
 რებელმზს. როდესაც ჩვენ გვაქვს იმის დამამტკიცებელი საბუთი მოკ-
 ლე ხელშეკრულებიდან თუ როგორ ეპყრობიან ვაჭრები ამ საქმეს და



ამ დროს აქ გამოდის საბჭოს წევრი ახმეტელი და ამტკიცებს, რომ ვაჭარ მრეწველთ გადაეცეთ მთელი ეს დიდი საქმე, — მე მგონია, რომ ამათზე სერიოზული ლაბარაკი ზედმეტია, მე ვფიქრობ, რომ ჩვენს საქმეს ახმეტელს არ უნდა, რომ მოიწონოს ჩვენი კანონპროექტი, იმიტომ მან უკანხდლათ მოიგონა ახალი კანონი, მაგრამ თქვენ იცით რომ ნაადრევად მოაზრებული და მოგონებული არ არის საფუძვლიანი.

თავმჯდომარე, სიტყვა ეკუთვნის მთავრობის თავმჯდომარეს.

მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას სიტყვა.

მოქალაქენო! როცა ბ. ახმეტელმა აქ შემოიტანა შევითხვა, მართალი გითხრათ მე ამ ფაქტს დიდი სიხარულით მივხედავ. ვფიქრობდი, რომ ჩვენ აღბათ ისეთს რაშეს გავიგებდით, რაც არ ვიცოდით, იმედი მქონდა, რომ მიეცემოდა საშუალება მთავრობას სპეკულიაციასთან და სხვა ბოროტმოქმედებასთან თავისი ბრძოლა განეგრძო, მაგრამ დღეს მისმა სიტყვამ ეს იმედი ვერ გაგმიმართლა, ის რაც მან სიტყვა ახალი, როგორც ეხლა დაამტკიცა ბატონმა ლორჭიფანიძემ, არ არის მართალი, — მხოლოდ ჩვენ უკვე ვიცით კაი ხანია, და იმის შესაფერი ზომები უკვე გვაქვს მიღებული.

ბ. ახმეტელისთვის, რომ გვეცადა და ერთი თვის წინათ მიგველო ზომები, რაზედაც გვითითებენ, ჩვენი სახელმწიფოს მდგომარეობა შეიძლება მეტად ცუდად იქნებოდა და ჩვენ სახელმწიფოს აუარებელი ზარალი მოსვლოდა.

აი საქმე როგორ იყო. მიღებულია საერთოდ ყველგან და ჩვენ შიდაც, რომ თვითელი სამინისტრო, თუ რომ მას ესაქიროება რაიმე საქონლის ყიდვა, და გაყიდვა — ჰკრავს ამის შესაფერ ხელშეკრულებას. ერთი ასეთი სამინისტრო, რომელსაც უჭირავს ამ ხელშეკრულებების რიცხვში პირველი ადგილი — არის, რასაკვირველია, სასურსათო სამინისტროს უწყება. ვინაიდან ჩვენ თავიდანვე გვაქვს ნაკლები სურსათი, უეჭველია ეს უწყება უნდა შეუდგეს ამ საქმეს, საჭირო სურსათი მონახოს და ისიც შეეცადოს იქა თუ აქ იშოვოს პირები, რომელნიც თავთ იღებდნენ, რომ ეს საჭირო სურსათი აქ შემოიტანონ. შეიკრა რამდენიმე ხელშეკრულება. ამ დროს აქ დაიწყო ამ სასურსათო უწყების გარშემო მრავალნაირი მითქმა-მოთქმა. მე იძულებული ვიყავი და საჭიროდ დავინახე, რომ მთავრობას გაეგო რანაირი ხელშეკრულება არის შეკრული ამ ერთი თვის წინ. მოვითხავე, რომ ყველა პირები ამ ხელშეკრულებისა ყოფილიყვნენ წარმოდგენილი. როცა ეს პირები მივიღე, სულ არის 12 ხელშეკრულება, გადავსინჯე ეს ხელშეკრულებანი და დაუყონებლივ გადავეცი ჩვენ იურისკონსულტს სერგეი ჯაფარიძეს. მან წაიკითხა ისინი და ამ 12-ში, ერთის გარდა მან არც ერთი არ მოიწონა. თვითთულ ამ ხელშეკრულებას, რომელიც აქ მაქვს, ბოლოში აქვს მოწერილი აზრი ჩვენი იურისკონსულტის, სერგეი ჯაფარიძის.

ამავე დროს ამ საგანზე მუშაობდა სახელმწიფოს კონტროლიორი, ის თავის თავად, უჩვენოდ; მე არ ვიცოდი თუ შეუდგა ამ საქმის გამოძიებას, და ერთ დღეს, ჩემი გამოძიება და მისი გამოძიება ერთად წარმოუდგა მთავრობას. ჩემი გამოძიება და მისი გამოძიება თითქმის ერთნაირია. ამ საქმეზე ჩვენ მთავრობას ერთად მოგახსენეთ. მანაც მო-



იტანა თავისი დასკვნა, მეც მივიტანე ჩენი დასკვნა. ხო და, თითქმის ერთნაირი დასკვნები. ამის შემდეგ ჩვენ აქ ვიქონიეთ მსჯელობა მთავრობამ დაინახა რომ ეს ხელშეკრულობა მეტის მეტად სახელმწიფოსთვის. მაგრამ ჩენი მთავრობა აქ არაფერ შეაშია. ამის გამო ვინაიდან ყველა ხელშეკრულობები დაწერილია, ხელი უწერია ამ უწყების პირდაპირ მართველს ბ. საბაშვილს, ამიტომ ჩვენ დავინახეთ საჭიროდ რომ ბ. საბაშვილი ღროებით ყოფილიყო გადაყენებული ამ საქმიდან და დაგვენიშნა უწყების რევიზია. რევიზორის დანიშვნა მთავრობამ მე მომანდო. დავნიშნე ერთი რევიზორი, მაგრამ ის უცებ ავად გახდა და რევიზია ღროებითი შეჩერებულია. 2 კვირა ავად არის და ამიტომ, ბატონებო, მივანდე რევიზია მეორე პირს—სახელმწიფო სახაზინო მართველობის უფროს. მას მივეცი უფლება რომ ამ საქმეში ემოქმედნა ისე, როგორც იგი და მისი მოხელეები რევიზიის დროს საჭიროდ დაინახავენ. უნდა ვთქვა, რომ ყველა ამ ხელშეკრულებებში მხოლოდ ერთი ხელშეკრულება თავის დროზე განიხილა მთავრობამ. ეს ხელშეკრულება მოიწონა მთავრობამ. ეს ხელშეკრულობა არის სწორედ ხელშეკრულობა „კომერსანტთან“ ამ დროს მთავრობას ჰქონდა 2 ხელშეკრულობა. ერთი იყო ხელშეკრულობა ხოშტარისთან. უნდა გითხრათ მართალი, შე მაინც და მაინც არ ვარ ამ დარგში სპეციალისტი, ხელშეკრულობა თქვის დღეში არ დამიწერია. მაგრამ როცა ხოშტარის ხელშეკრულობა წავიკითხე მე და პრაქტიკული წვერი მთავრობისა განკვიფრებული დავრჩით არ გექონდა წარმოდგენილი, რომ შეიძლება ასეთი ხელშეკრულობა, რომელიც ერთს ერთიანად უკრავს ხელ ფებს, ბოჭავს, მეორეს ანთავისუფლებს, უშვებს როგორც უნდა ისე ამოქმედებს. და ხოშტარის ხელშეკრულობა პირ და პირ შებოჭვაა მთელი ჩენი ხაზინასა: პირ და პირ ხელს უკრავს, ბოჭავს ჩვენ ხაზინას. სარგებლობს. მეორეს მხრით ხელს უხსნის თითონ ხოშტარისა და მიხ ამხანაგებს: აქ არ მაქვს სამწუხაროდ ეს ხელშეკრულება არ ვიცი არის თუ არა სამინისტროში. მაგრამ, როგორც კურიაზე და მაგალითი კომერსანტების მიერ დაწერილ ხელშეკრულებებისა, უნდა იყოს დაცული და შენახული სამუდამოდ სამინისტროში (ხმა „მუზეუმში“) ამ დროს წარმოდგა მეორე ხელშეკრულება ვინმე „კომერსანტის“ მიერ. ეს ხელშეკრულება იყო ჩვენთვის დიდათ შეღავათიანი და დიდათ მისაღები, მხოლოდ აქ აღიძრა ლაპარაკი, რომ ისეთი კითხვა არის, რომელზედაც ბ. ახმეტელმა ბრძანა. აქ არის ისეთი ხალხი, რომელსაც არაფერი არა აქვს და ამიტომ ვერაფერს გადაიხდის. ჩვენ კი ვამბობთ არიან ისეთი პირნი, რომელთაც არაფერი აქვთ, და არიან ისეთი პირნი, რომელთაც აქვთ, და ასე თუ ისე მათ შეუძლიანთ თავიანთი მდგომარეობით პასუხი აგონ. ამიტომ ჩვენ კრებაზე დავაღვინეთ, რომ პასუხისმგებლობა უნდა იყოს სწორედ სოლიდალური, ესე იგი—ვისაც შეუძლიან თავისი მდგომარეობით და ქონებით სულ ერთია,—მან უნდა იკისროს პასუხისმგებლობა; უნდა იკისროს ყველასთვის (ხმა: „круговая порука“). დიან! სა-მწუხაროდ უნდა ვთქვა, რომ იმ დროს როცა მე მოვითხოვე ყველა ეს ხელშეკრულებები და მთავრობამ განიხილა—ამ „კომერსანტის“ ხელშეკრულობაში ეს მუხლი არ იყო. ის ნაკლი უკვე აქვს ამ ხელშეკრულობას, რომ ჩენი დადგენილება, იმ საერთო სოლიდარული პასუხის მგებლობის მუხლზე არ არის შიგ შეტანილი, და ეს არის დიდი ნაკლულობა. სამინისტროს უკვე აქვს მიღებული ზომები, და ეს ერთნა-



რი, გარანტიია, რომ ეს მხარე დაკუთვნილი იქნება. ჩვენ, რასაკვირველია, შეგვიძლიან ამ ხელშეკრულების დარღვევა ფაქტურად შინაგანად ვიხსენიოთ, რომ ვაღა გასულია. ყველა დანარჩენი ხელშეკრულებები შევიწვევთ არიან. იმიტომ რომ არც ერთი ხელშეკრულება არ არის ჩვენთვის სასარგებლო; მხოლოდ ერთი ისეთი ხელშეკრულება რომელიც მართლაც ჩვენთვის მეტად საზარალოა და მისი დარღვევა ვერ მოხერხდა, ეს არის ხელშეკრულება რომელიც ჩვენ დავდევით ადვრბეჯანის მთავრობასთან. სადაც სწერია, რომ ერთი ფუთი შაქარში იძლეოდნენ, არ მანსოვს 2 1/2 ფუთი ხორბალს, ეს ხელშეკრულება, როგორც წავგიკითხე მე, მაშინვე შევანერგე და ვთქვი—ამ ხელშეკრულების პირობების სისრულეში მოყვანა ყოველად შეუძლებელია. შემდეგ მე წაველი კოჯორში, აქ გაიმართა დიპლომატიური მოლაპარაკება, და აქ თურმე ჩაერია ფონკრესი და ადვრბეჯანის წარმომადგენელი. სთქვეს—თქვენნი მთავრობის წარმომადგენლები ხელშეკრულებებს სწერენ და თქვენ არ ასრულებთ. დიპლომატიური გზით, რომელიც აღმოჩნდა, სულ ერთია ცუდად თუ კარგად, სულ ერთია ეს ხელშეკრულება ჩვენ წარმომადგენლების მიერ მიღებულია, რასაკვირველია არ შეგვიძლიან, არ გვაქვს უფლება ამ ხელშეკრულების დარღვევა, დიპლომატიური გზა მართლაც ცოტადღენ შეღავათს იძლევა. მხოლოდ ხელშეკრულება ძალიაში დარჩება, და ამნაირად ჩვენ ამით ვართ დიდთ წაგებულნი. რასაკვირველია იძულებულნი ვართ ავასრულო ყველა ის. ეს ფაქტები მოწმობენ ორში ერთს, ან იმას რომ ის, ვინც ჰკრავდა ამ ხელშეკრულებას არ იცოდა, არ იყო გამოცდილი ამ საქმეში, ან თუ ვი იცოდა რას შერბოდა, ახდენდა პოროტოპოქედებას. ამას გამოირკვევს ის რევიზია, რომელიც დანიშნულია და ამ რევიზიის დასვენას თქვენ აქ წარმოგიდგენთ. მე მხოლოდ ვამბობ, რომ სასურსათო კითხვა არი: დიდი კაზხკა, ამიტომ მთავრობა იღებს ყოველნაირ ღონეს, და თუ დღეს ეს საქმე ვერ მოგვარდა, ეს აიხსნება ჩვენ მეზობლურ პოლიტიკურ მდგომარეობით. ჩვე გვაქვს განსაკუთრებული იმედი ყუბანზე, ვინაიდან აქ იყო, შინაური ომი, აგრეთვე ბილშევიცები არ უშვებდნენ ერთ ფუთს ხორბალს. მაგრამ ვნლა, როცა ყუბანის ოლქმა, გარდა ერთ ნაწილისა არ აღიარა ბოლშევიცები და აღდგენილია წინანდელი მთავრობა—ბიჩის მეთაურობით. მასთან ერთად გყვინ მქონდა როგორც წინად მოგახსენეთ, პირდაპირი მავთულით ლაპარაკი და მან გადმომცა, რომ ჩვენ ყველა კონფლიქტები ავიციდინეთ და ჩვენ ხალხის და თქვენ შორის ხელშეკრულება იქნება დადებულია, ჩვენ უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ყუბანის ოლქიდან ჩვენ რამე შემოგვივია, მაგრამ რადგან ეს საკითხი ძნელია, რთული არის, და პასუხის მგებელია ჩვენი მთავრობა—ჩვენ არ გვსურს, რომ მართო ჩვენ ვიყვეთ ამ საქმეში ჩაშვული და პასუხისმგებელინი. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ იქნება დაარსებული ერთგვარი საბჭო, ამ საბჭოში იქნებოდნენ წარმომადგენლები ორგანიზაციების საზოგადოებისა და მუშებისა, რომელიც დაინტერესებულნი არიან ამ საქმეში; იქნება წარმომადგენლები აგრეთვე მთავრობისა და საბჭო ამ საქმეს, იმედი გვაქვს მოავარებს მთავრობასთან ერთად. ახალ ძალებს, ახალ გზას და ახალ საშუალებას მონახავს, ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ ახალი ორგანიზაცია ერთის მხრით, ყუბანის ოლქის გზის ვახსნა შეორეს მხრით, ჩვენ მოგვეცემს საშუალებას რომ სასურსათო საქმე ასე თუ ისე მოვაგვაროთ. მხოლოდ რაც შეეხება წინანდელ ხელშეკრულებებს, იმ დანაშაულებებს,—ის უკვე აქვს მინდობილი რევიზიას. რევივიზია



გამოარკვევს და დამაშავენი იქმნებიან უეჭველად პასუხისგებაში მი-
ცემულნი. უნდა ვთქვა კიდევ, რომ ჩვენ არც საზინისტროში, არც უწ-
ყებაში არ შეიძლება იყვნენ ისეთი პირნი, რომელთაც მთავრობა ხელს
აფარებს და თუ იქმნება რაიმე საწინააღმდეგო ფაქტი და საბუთი—ეს
პირნი უეჭველად დასჯილნი იქმნებიან.

თავმჯდომარე. რეგლამენტით განსაზღვრულია დრო სხდომის დახუ-
რვისა უკვე დადგა. ესაა როგორ გნებავთ, განვაგრძოთ კრება თუ მსჯე-
ლობა შეკითგვის გამო შემდეგ კრებისათვის გადაიდოს. (განვაგრძოთ!
გადაიდოს!) მე კენჭს ვუყრი. ვინ არის მომხრე რომ კრება განვაგრ-
ძოთ? ვინ არის წინააღმდეგ? მაშასადამე მსჯელობა გადადებულია შემ-
დეგ კრებისათვის.

ესაა აქ გახლავთ დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიის წი-
ნადებმა შესახებ იმისა, რომ საფინანსო და იურიდიულ კომისიით,
რომელთაც გადაეცა დამფუძნებელ კრების არჩევნების დებულება წი-
ნასწარ განსახილველათ დაუნიშნოთ ერთი კვირის ვადა.

(საბჭო იღებს ამ წინადადებას)

თავმჯდომარე. ესაა კრებას ვხურავ. კრებას ხურავს მ საათზე და
45 წუთზე

რედაქტორა ს. იორდანიშვილი.